ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 21 (1422)

30.VI - 7.VII 1995 წ.

— რა დროს სესიაა, მოუკვდა პატრონი!

— ანუ უმრავლესობას დასვენება სურს...

27 ივნისს გამართული სესია ღირშესანიშნავი გამოდგა, იმ დღეს დარბაზში არა მარტო პულტების, არამედ დეპუტატების ქვორუმიც იყო. თუმცა ეს ფაქტი ნამდვილად ვერ გამოიყენეს დეპუტატებმა. არ ვიცი ცხელი ზაფხულის ბრალია თუ პარლამენტის წევრთა უმრავლესობას ნამდვილად მობეზრდათ პარლამენტში მუშაობა, მაგრამ დღის წესრიგში გამოტანილი დადგენილების პროექტზე „საქართველოს პარლამენტის სხდომების გაგრძელების თაობაზე", ძალიან ემოციურად, მაგრამ სრულიად უშედეგოდ იმუშავეს. კენჭისყრაზე დადგა საკითხი, თუ როგორი რეჟიმით უნდა ემუშავათ დეპუტატებს. პირველი შემოთავაზებული ვარიანტი იყო ორ კვირაში ექვსი სამუშაო დღე, რომელიც არ გავიდა

ამის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა ძველი ვარიანტი: ორ კვირაში 4 სამუშაო დღე, მაგრამ მხარდამჭერები არც მას აღმოაჩნდა. „ისტორია გვიყურებს" — ამ მოწოდებით გადაწყვიტა. სპიკერმა ვ. გოგუაძემ კოლეგების პასუხისმგებლობის ამაღლება, მაგრამ დეპუტატების ძირითად ნაწილს ძილს სულაც არ უფრთხობს ისტორიის „მზერა ალმაცერი". ან უკეთეს შემთხვევაში დარწმუნებული არიან, რომ თემიდამ დიდი ხანია მოიხსნა თავისი აქსესუარის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი, გადასცა ისტორიის მფარველ მუზას და ეხლა ეს ჭალბატონი დაბრძანდება თვალებახვეული.

რამდენი პილატეა პარლამენტში?

28 ივნისს კენჭისყრაზე დადგა საკითხი შეტანილ იქნეს დამატებები საქართველოს რესპუბლიკის კანონში „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ". ამ კანონის მე-9 მუხლს უნდა დამატებოდა ახალი აბზაცი: რატიფიკაციას ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის ყველა საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ეხება რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფნაზე ნების დართვას, სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემოყვანას და მათ ამოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ ძალების მესამე ქვეყნის წინააღმდეგ ამოქმედებას.

კენჭისყრა მეტად საინტერესოდ წარიმართა, დარბაზში 121 დეპუტატი იყო (ყოველ შემთხვევაში ტაბლოზე ეს ციფრი დაფიქსირდა) 87 თანახმა, ერთი წინააღმდეგი (?!), ხოლო დანარჩენებმა ალბათ იფიქრეს, რომ მათ სულაც არ ეხებათ საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარების ყოფნა-არყოფნა, არც მათი გადაადგილება, მოკლედ არც არაფერი ეხებათ და პილატესავით ხელიც არხეინად დაიბანეს. დამატება, რა თქმა უნდა არ იქნა მიღებული.

ვახტანგ რჩეულიშვილი არ ენდობა იგორ გიორგაძეს

მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე ვახტანგ რჩეულიშვილმა თავის გამოსვლაში ფორუმის სახელით უნდობლობა გამოუცხადა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს იგორ გიორგაძეს... 26 ივნისს შედგა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ავთანდილ იოსელიანი.

კოლეგიამ გააკეთა განცხადება, რომელშიც წერია: „ბოლო მოეღოს სპეცსამსახურზე უსაფუძვლო თავდასხმებს, ვისგანაც და საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლეგიის წევრები, სამმართველოების ხელმძღვანელები, სამხედრო და სპეცქვედანაყოფების მეთაურები იტოვებენ კანონიერი მოქმედების არჩევანის უფლებას".

რას აირჩევს უშიშროება ღმერთმა იცის, მაგრამ ამ განცხადებას პარლამენტის რეაქცია რომ არ მოჰყვა ბატონ ვახტანგს ნამდვილად დასწყდა გული. თუმც როგორც ლუიზა შაკიაშვილმა დაამშვიდა, როცა ვახტანგი გახდება დასაცავი, ის მის მხარეზე დადგება. მანამდე კი ჭალბატონმა ლუიზამ გაახსენა ვიცე-სპიკერს, რომ გიბ ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ, როდესაც შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ მოითხოვა უნდობლობის გამოცხადება უშიშროების სამსახურის უფროსისადმი, სწორედ ვახტანგ რჩეულიშვილი იცავდა გიორგაძეს, რომელსაც რამდენიმე ხანში ჩინიც გაუზარდეს და გენერალ-ლეიტენანტი გახდა: „როდის გაიგეთ, ბ-ნო ვახტანგ, რომ იგორ გიორგაძე პანტელეიმონის შვილია, ან რა შუაშია პანტელეიმონის შვილობა?" დაინტერესდა შაკიაშვილი.

ე.დ.პ.-ის წარმომადგენელმა შესთავაზა სპიკერატს, რახან თვითონ არ იჩენენ ინიციატივას, მათი „სამსახურით" ისარგებლონ და კვლავ დადგეს „სუსის"-ს თავმჯდომარის მიმართ უნდობლობის საკითხი, რაზედაც ბ-ნმა ვახტანგ გოგუაძემ უპასუხა: „მტერი უნდა ვიყო, რომ ფინიშამდე მისული პარლამენტი ძალოვან სტრუქტურებს ვაჭიდავო" და საკითხი ამით ამოიწურა, უფრო სწორად, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

როგორი იქნება გადასახადი ბენზინზე 1 ივლისის შემდეგ?

1 ივლისს ვადა გაუდის ნატურალურ 10 %-იან გადასახადს ბენზინზე. ეს გადასახადი ნიშნავდა შემდეგს: ბენზინის შემომტანს სახელმწიფო ნატურალურ წილში უჯდებოდა. ვთქვათ, ყოველი 1000 ლიტრიდან სახელმწიფოსი იყო 100 ლიტრი. ბენზინის შემომტანები, ცხადია, შემოტანილი საწვავის რაოდენობას მალავდნენ და საწვავი ოფიციალურად მცირე რაოდენობით აღირიცხებოდა, რის გამოც ბიუჯეტშიც ცოტაოდენი ნაწილი შედიოდა, ხოლო დანარჩენი საით მიედინებოდა, ამას ბულგართწინასწარმეტყველი ვანგა თუ იტყვის.

1 ივლისიდან როგორც მოგახსენეთ ამ კანონსაც ვადა გაუდის. რა იქნება შემდეგ? ამას ეტყობა ბენზინის გამყიდველები ისევ ვანგასთან თუ შეიტყობენ, რადგან ახალი კანონი ჯერ არ ჩანს.

ახალი საპროტესტო აქცია

28 ივნისს პარლამენტში მისულ დეპუტატებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა საპროტესტო აქციის მონაწილენი დახვდნენ. გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი იძულებულია ეხლა დაეწყო უვადო საპროტესტო აქცია ერთადერთი მთავარი მოთხოვნით: საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა, პირველ რიგში რუსეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით და მათი თანადგომით დაუყოვნებლივ აღადგინოს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია აფხაზეთზე და დაიწყოს ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება მშობლიურ კერებში.

რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტა დროს მოითხოვს, აფხაზეთიდან დევნილნი უვადო საპროტესტო აქციას შეწყვეტენ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება შემდეგი მოთხოვნები:

1. შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკება სეპარატისტულ რეჟიმთან და საქართველოს ხელისუფლება გააკეთებს საგანგებო განცხადებას ამასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი გასცემს სანქციას ვ. არძინბას და გენოციდის სხვა ორგანიზატორთა დასაპატიმრებლად.

3. რუსეთის სამშვიდობო ნაწილები და საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარი შექმნან უსაფრთხოების გარანტიებს: განაიარაღებენ არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებს, აღადგენენ კონსტიტუციურ წესრიგს, რის შემდეგაც დაიწყება ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების პროცესი.

საპროტესტო აქცია გრძელდება...

კიდევ ერთხელ პოზიციისა და ოპოზიციის, აგრეთვე კრიმინალების, ეროვნული ხელისუფლებისა და ინტელექტუალური სინდისის თაობაზე

... ქარავანი კი მიდის

ჩვენს გაზეთში ერთხელ შევნიშნეთ, რომ როცა ამბობენ: **პოზიცია** და **ოპოზიცია,** ეს იგივეა, **ბორტის** ნაცვლად **აბორტი** იხმარო. **პოზიცია** არ არის **ოპოზიციის** საპირისპირო ცნება, მათი წარმოსახვა ანტინომიად-ელემენტარული უმეცრებაა და სხვა არაფერი. მაგრამ რად გინდა, ეტყობა ჩვენებურ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი გაზეთ „საქართველოს“ ან არ კითხულობს, ან კითხულობს, ოღონდ ბოდიში და ფეხებზედაც ჰკიდია შიგ რა წერია... ჰოდა, გრძელდება ეს უმეცრების აღლუმი. ინტერვიუებში, გამოსვლებში, თუ დიალოგებში კვლავ წამდაუწუმ ისმის **პოზიცია** და **ოპოზიცია.** განსაკუთრებით სცოდავენ ამ მხრივ ე.წ. „უმრავლესობის“ წარმომადგენლები. და თუმცა ქ-ნ ნანა დევდარიანის მტკიცებით, საპარლამენტო უმრავლესობა სულ მოაზროვნეებითაა დაკომპლექტებული, **პოზიცია** რას ნიშნავს და **ოპოზიცია,** ალბათ ძლიერ რთული საკითხია, ამიტომ ნუ მოერიდებათ და ერთხელ ნებისმიერ ლექსიკონში მაინც ჩაიხედონ, თვითონ რომ ზედმეტი ტვინის ჭყლეტა არ მოუწიოთ.

ერთია მხოლოდ: მგონი ახლაც ამაო გარჯაა ამაზე ლაპარაკი.

უფრო სავარაუდოა, რომ კაციშვილი არ შეიწუხებს თავს და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. მოკლედ, როგორც ერთხელ ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: собака лает, а караван идет своим путем...

პრიმინალი

ამ ოთხიოდე წლის წინ, როცა საქართველოში ე.წ. „პროვინციული ფაშიზმი“ პარპაშებდა, ერთ-ერთ „ოპოზიციურ მიტინგზე“ ბ-ნი ლევან ღვინჯილია სამართლიანად შენიშნავდა, რომ სახელმწიფო ტელევიზიაში სრულიად უადგილოდ ხმარობს სიტყვა კრიმინალს: კერძოდ ამგვარი „ეპითეტით“ ამკობენ ყველას, ვინც პრეზიდენტს თვალში არ მოსდის. არადა სიტყვა **კრიმინალი დანაშაულებრივ ქმედებას აღნიშნავს: ადამიანი, თუნდაც ცხრაგზის ბანდიტი იყოს, კრიმინალი ვერ იქნება.** იგივე „წარმატებით“ შეგიძლია თქვა, რომ ესა და ეს პიროვნება — მკვლელობაა, სირბილია, ან სროლა...

მაგრამ ცუდი მაგალითი, როგორც ჩანს, მართლა გადამდებია. **„კრიმინალების თარეში დამთავრდა“** — პათეტიურად აცხადებს დღეს სახელმწიფოს მეთაური. **„კრიმინალების დრო წავიდა“** — იმეორებს მისი ახალი ფავორიტი — ვახტანგ რჩეულიშვილიც. ვუსმენ მათ და ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ არც შევარდნაძის ამალაში მოიძებნა არავინ, რათა „უფროსისათვის“ შეესწორებინა — ასე ნუ იტყვი, არასწორია, — შევრცხვებითო, და არც ოპოზიციონერებში არავინ გამოჩნდა, ღვთისნიერი, რომ სწორი ფორმა ეკარნახა.

ეროვნული ხელისუფლება

კიდევ ერთი გაურკვეველი ტერმინი, რომელსაც (ვერ დავაბრალებ!) „მოაზროვნე უმრავლესობა“ ნამდვილად არ იყენებს, ეს უფრო ოპოზიციის წიაღში დაბადებული კლიშეა.

საერთოდ სიტყვა **ეროვნული** საქართველოში შეიძლება ნიშნავდეს ან **სახელმწიფოს,** ან **ქართულს;** მაგალითად, ეროვნული სტადიონი — იგივეა რაც სახელმწიფო სტადიონი, ხოლო ეროვნული ნაკრები — საქართველოს ნაკრები. თუმცა ჩვენთან ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე ამ ცნებამ კიდევ ერთი, დამატებითი მნიშვნელობაც შეიძინა. კერძოდ, შეფასებითი მნიშვნელობა, როცა ეროვნული ნიშნავს ერისთვის საკეთილდღეოს — მაგალითად, ეროვნული საქმე. ეროვნული მოღვაწე და ა.შ. არავითარი სხვა შინაარსი სიტყვა ეროვნულში არ დევს...

ბოლო დროს ხშირად გვესმის, რომ გამსახურდიას ხელისუფლება — ეროვნული ხელისუფლება იყო. ასე ამბობენ როგორც ორთოდოქსი „ზვიადისტები“, ისე ყოფილი „ანტიზვიადისტი“ ოპოზიციონერებიც. ერთ-ერთ ინტერვიუში აკაკი ასათიანმაც აღნიშნა, გამსახურდიას ხელისუფლება **უკიდურესად** ეროვნული გახლდათო... მართალი გითხრათ, „ზვიადისტების“ მესმის, მათი დამოკიდებულება გამსახურდიას მმართველობის პერიოდისადმი — სრულიად ლოგიკურია. სხვანაირად რომ ფიქრობდნენ, მაშინ „ზვიადისტებიც“ არ იქნებოდნენ. აკაკი ასათიანსაც ალბათ **ეროვნული — ნაციონალისტურში** აერია. ესეც არა უშავს, ჩვენი პოლიტიკოსები უარესსაც ამბობენ. მაგრამ როცა გამსახურდიას ხელისუფლებას **ეროვნულს** უწოდებს ის ხალხი, ვინც თავის დროზე პრეზიდენტს ოპოზიციაში ედგა და ახლაც არ მიიჩნევს მის მოღვაწეობას მაინცდამაინც დიდ სიქველედ — ეს, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია.

ასე რომ, ლუის კერლის ერთი პერსონაჟის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ: ჯერ გაარკვიე რა გინდა, რომ გაარკვიო რას ამბობ...

ბოლოთქმა: ინტელექტუალური სინდისი

არსებობს ასეთი ცნება — ინტელექტუალური სინდისი, რაც სრულიად მარტივ რამეს გულისხმობს: არ გამოიტანო სააშკარაოზე გადაუმოწმებელი ინფორმაცია: იქნება ეს რაიმე ამბავი, ციტატა, თუ ტერმინის ხმარება. არაფერი დიდი ფილოსოფია ამაში არ არის. კიდევ უფრო მარტივად თუ ვიტყვით — ინტელექტუალური სინდისი უბრალოდ კეთილსინდისიერებას გულისხმობს. სანამ რამეს იტყოდე, ჯერ წადი, წიგნი გადაშალე და ნახე, სწორად ამბობ თუ არა. მაგრამ საზოგადოებაში, სადაც ინტელექტის მწვავე დეფიციტია და არც სინდისია მაინცდამაინც კარგი საქონელი — ინტელექტუალურ სინდისზე ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი დააბრეხვებს რაღაც სისულელეს, მეორე აიტაცებს, მესამე განავითარებს და იძახე მერე, ნუ ამბობთ ასე — უმეცრებაა, სირცხვილიაო. კაციშვილი არ დაგიგდებს ყურს, ახლაც ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამაოდ დავშვრი. სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ...

დ.ზ.

«ბურჯი ეროვნებისა»

გამოვიდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“. გაზეთის რუბრიკების გაცნობაც კი ნათელს ხდის, თუ რა მიზანს ისახავს რედაქცია:

„რა ენა წახდეს“,

„სიტურფით სავსე ქართული“,

„ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“,

„გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა“...

გაზეთის გამომცემლებს არც აბიტურიენტები დარჩენიათ ყურადღების გარეშე: აქ იბეჭდება მისაღები გამოცდების განახლებული პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში და განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ ჩატარდება მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

რუბრიკა „ანაბანა“ დედაენის მოყვარულ პატარებს უმასპინძლებს.

გაზეთის მთავარი რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

პურის საცალო ფასების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში 1995 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციისა და ცეკავშირის სისტემის მიერ ნორმირებული წესით სარეალიზაციო ერთი კილოგრამი პურის საშუალო საცალო ფასი განისაზღვროს 300 (სამასი) ათასი კუპონის ოდენობით.

პურის სავაჭრო დათმობის განაკვეთი შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის №28 დადგენილებით განსაზღვრულ დონეზე (საშუალოდ 5,8 პროცენტი).

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცეს პურის საცალო ფასების პრეისკურანტი.

2. 1995 წლის პირველი ივლისიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში ამოსაღები თანხა ყოველი ერთი ტონა გადამუშავებული ხორბლიდან და ყოველი ერთი ტონა იმპორტული ფქვილიდან განისაზღვროს შესაბამისად 160 მილიონი კუპონის და 227 მილიონი კუპონის ოდენობით.

3. ფასების ცვლილების თარიღისათვის არსებული ხორბლის, ფქვილისა და პურის ნაშთების ფასების თანხები ჩაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 სექტემბრის №687 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

4. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციამ დაიწყოს ჰუმანიტარული დახმარებებითა და გრანტებით შემოტანილი ფქვილის 10 პროცენტის საუქციონო რეალიზაცია ამ დადგენილების მიღებისთანავე, ხოლო ხორბლის 5 პროცენტისა — 1995 წლის არაუგვიანეს სექტემბრის ბოლოსი.

ხორბლის მინიმალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვროს 120 აშშ დოლარის, ხოლო ფქვილისა — 180 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ერთ ხელზე გასაშვები ხორბლისა და ფქვილის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვიური სარეალიზაციო მოცულობის 30 პროცენტს. ფქვილისა და ხორბლის საუქციონო რეალიზაციიდან ამონაგები თანხების რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხვა განხორციელდეს ამ პუნქტში განსაზღვრული მინიმალური ფასების საფუძველზე, ხოლო დამატებით მიღებული თანხები მთლიანად რჩება პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის განკარგულებაში ხორბლისა და ფქვილის შესაძენად და სისტემის საწარმოთა ქმედითუნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მსოფლიო ბანკსა და სხვა დონორებთან კონსულტაციების წესით წინასწარ იქნება განხილული საუქციონო გაყიდვის პროცედურული საკითხები.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 ივნისის №373 დადგენილებით 1995 წლის პირველი ივლისიდან გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო-კომერციულმა ბანკებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, უზრუნველყონ მოსახლეობაზე ხელფასების, პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების წინასწარი საავანსო გაცემა არაუგვიანეს 1995 წლის 30 ივნისისა.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 26 ნოემბრის №810 დადგენილებით განსაზღვრული პურის საცალო ფასები და 1995 წლის 18 იანვრის №28 დადგენილებით დამტკიცებული პურისა და ფქვილის რეალიზაციიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში ამოსაღები ფიქსირებული გადასახადები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

1995 წლის 28 ივნისი

კაცი სამი წელია ციხეში ზის, განაჩენი კი ჯერაც გამოსატანია?!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარეს ბატონ მინდია უგრეხელიძეს

ბატონო მინდია! მე პირადად დიდი ხანია აღარ მაკვირვებს ის ფაქტი, როდესაც მაღალ ეშელონებში თანამდებობის უზენაესი პირები ლაპარაკობენ ან წერენ ერთს, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ეგიდით ხორციელდება სრულიად სხვა.

როგორც იტყვიან, უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო. ასე მოუვიდათ ბრალდებულებს, რომლებსაც დაკავების ან ბრალის წაყენების მომენტიდან განუხორციელეს დაცვის უფლება. ახლა ხშირად წაიკითხავთ განაჩენებში გამამტყუნებელ მტკიცებად, „მის მიერ მიცემული ჩვენება წინასწარ გამოძიებაში მიღებულია მისი ადვოკატის თანდასწრებით". სასამართლოებს კარგად მოეხსენებათ, რომ ბრალდებულზე ზეწოლამ უფრო კვალიფიციური ხასიათი შეიძინა. დაშინებული ბრალდებული სწორედ ადვოკატის თანდასწრებით იძლევა მისთვის არასასურველ ჩვენებებს, რადგან მას არ გააჩნია გარანტია, რომ ადვოკატთან განშორების შემდეგ უარეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდება. ეს ეხებათ განსაკუთრებით ახალგამოცდილ ბრალდებულებს, კვალიფიციური ბრალდებულები უფრო მოხერხებულად იქცევიან და სამძებროს მუშაკებიც სწორედ მათთან უფრო იჩენენ სიფრთხილეს.

მჭონია შემთხვევა, რომ შევხვედრივარ ბრალდებულს, როგორც გამომძიებელთან ისე ცალკე, რომლის ტანსაცმელზეც და გარეგნობაზეც აშკარა ყოფილა ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები, და მას თვითონ არ მოუცია უფლება ჩემთვის ექსპერტიზის დანიშვნის ან სხვა რეაგირებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ძალისხმევით მიცდია დამერწმუნებინა იგი მის შემდგომ უსაფრთხოებაში. მას კატეგორიულად უთქვამს, რომ დაზიანებები მიღებული აქვს კიბეზე დაგორების ან სხვა შემთხვევითი გარემოებების გამო. შემდეგ კი სასამართლოზე უღიარებია, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ცემასა და სხვაგვარ ძალადობას.

თეორეტიკოსები აფართოებენ ბრალდებულის დაცვის უფლებებს, მაგრამ რადგან პროგრესულ თეორიულ განვითარებას დიდი ხანია აცდენილია პრაქტიკული საგამომძიებლო საქმიანობა, პრაქტიკოსი „საქმის გამხსნელები" ხვეწავენ თავიან „არალეგიტიმურ ოპერატიულ" საქმიანობას, რის წყალობითაც რიგ შემთხვევებში ირღვევა არა მარტო ბრალდებულის უფლებები, არამედ ისჯება სრულიად სხვა პირი. ნამდვილი დამნაშავე კი რჩება დაუსჯელი.

მჭონია შემთხვევა, როდესაც ბრალდებული შემთხვევის ადგილზეა გაყვანილი, გადაღებული აქვს ფოტოები, მიუთითებს ადგილს, საიდანაც მან ამოიღო ძვირფასეულობები და სხვა. აღნიშნულ ფოტო გადაღებებს და შემთხვევის ადგილის დათვალიერებას ესწრებიან თანამოწმენი და ასე შემდეგ, მაგრამ შემდგომში დადგენილია, რომ ზუსტად ეს დანაშაული სხვის მიერ ყოფილა ჩადენილი.

ბატონო მინდია, საგამომძიებლო პრაქტიკა უკან არ იყურება და რადგან ერთხელ დარწმუნდა მისი მოქმედების თავისუფლებაში და შეუგალობაში, რასაც განაპირობებს უზენაესი სასამართლოს და საერთოდ სასამართლოების შემწყნარებლური დამოკიდებულება მათ მიმართ, ისინი არა თუ იძიებენ, არამედ ხშირად თხზავენ სისხლის სამართლის საქმეებს, არა თუ ბრალდებულის უფლებებს ხელყოფენ უხეშად, არამედ თვით ადვოკატებსაც აღარ დაგიდევენ და უხეშად არღვევენ თვით ადვოკატის კანონით გარანტირებულ უფლებებსაც. აბა რა უნდა უწოდო იმ ფაქტს, როდესაც ადვოკატს

გაგრძელება მე-8 გვ.

რადიო «თავისუფლება» გაკოტრებულ მეანაბრეთა შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული კომპანიებისა და ბანკების მეანაბრეთა სოციალური დაცვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

ბრძანებულების პირველი პუნქტი გულისხმობს თითოეული დაზარალებული მეანაბრის დანაკარგის ნაწილობრივ ანაზღაურებას 150 ამერიკულ დოლარამდე ოდენობით, საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) სახით. ხოლო მეხუთე პუნქტი ითვალისწინებს რამდენიმე სააქციო საზოგადოებაში გაერთიანებული მეანაბრეების თხოვნას, და, როგორც გამონაკლისი, ეს საზოგადოებები 1995 წლის ბოლომდე თავისუფლდებიან საბაჟო, დამატებითი ღირებულების, აქციზისა და ნავთობპროდუქტზე ნატურალური — 10 %-იანი გადასახადებისგან.

23-30 ივნისის გაზ. „საქართველოში" დაიბეჭდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილების სახით შემუშავებული ამ ბრძანებულების ტექსტი, რომელსაც თან ერთვის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მინაწერი. მასში ნათქვამია, რომ ეს დოკუმენტი არის მოქალაქეთა მოტყუების ახალი ფორმა და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხის დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაწყვეტის გზად. არა და არსებობს სხვა, უფრო გონივრული და რეალური წინადადებები, რომელსაც ხელისუფლება ჯიუტად არიდებს თავს, — განაცხადეს რესპუბლიკელებმა.

რატომ დაიწუნეს ბრძანებულება, რა შინაარსი აქვს ხსენებულ წინადადებებს?

ამ კითხვებით მივმართეთ პარტიის აღმასრულებელ მდივანს ბ-ნ რომან გოცირიძეს.

საუბრის დასაწყისში მან აღნიშნა, რომ თბილისის სხვადასხვა ბანკებისა და კომპანიების გაკოტრების შედეგად დაზარალებულია 5000-ზე მეტი მეანაბრე, ხოლო მათ მიერ დაკარგული საერთო თანხა 40 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება. ანაბრების ოდენობა სხვადასხვაა — 100 დოლარით დაწყებული და რამდენიმე ათასით დამთავრებული.

ბ-ნმა რომანმა გვითხრა: ახალი ბრძანებულება პრაქტიკულად შედეგებს არ გამოიღებს. მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურებას იგი მხოლოდ მიზერული ოდენობით — უკიდურესად გაუფასურებული 5-6-ოდე ვაუჩერით განსაზღვრავს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, სამწუხაროდ, ამჟამად მოქმედი პრივატიზაციის მექანიზმი სახელმწიფო ქონების განიავებას იწვევს. ეს ქონება, არსებითად ხელში უვარდებათ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ელიტარულ კლანებს, რომელთაც არც მისი მართვა შეუძლიათ, არც მომავალ ინვესტიციებსა და არც ადამიანთა დასაქმებაზე იზნუბენ.

ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტი — აგრძელებს საუბარს ეკონომისტი — გულისხმობს ყველა გაკოტრებულ მეანაბრის საინვესტიციო ფონდში გაერთიანებას. მათზე უნდა გაიცეს დაახლოებით 60-მილიონი დოლარის ტოლფასი აქციები იმ ქონებისა, რომელიც დარჩა სახელმწიფო განკარგვაში აქციათა საკონტროლო პაკეტის უფლებით.

ბ-ნმა რომანმა აღნიშნა, რომ დაზარალებულ მეანაბრეთა მრავალათასიანი კონტიგენტი შედგება ორგანიზებული, ინტელექტუალური პირად ინტერესებზე დაფუძნებული მოტივაციის მქონე ადამიანებისაგან, რომლებიც სხვებზე უკეთ შეძლებენ სახელმწიფო ქონების მართვას.

მისი სიტყვით, საკითხის განხილვის პროცესში გამოიკვეთა უფრო დიდი მნიშვნელობის პრობლემა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფომ ძალიან მძიმე დარტყმა მიაყენა, მოსახლეობას მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეგვიწყვიტა ფულის ნიშნების მოწოდება და საქართველოს სხვადასხვა ბანკებში თანხები გაიყინა. 1992 წლის დასაწყისში ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა ხელისუფლების წინადადებას, რომ შემნახველ სალაროებში ფულის შენახვის შემთხვევაში თითოეულ მეანაბრეს ექვსი თვის შემდეგ გაორკეცებულ თანხას დაუბრუნებდნენ. ანაბრები მართლაც გაორკეცდა, მაგრამ ფულის ნიშნები სამყოფი არ აღმოჩნდა და მოსახლეობამ შეპირებული ფული ვერ მიიღო. შემდგომმა ინფლაციამ კი დანაზოგების კატასტროფული გაუფასურება გამოიწვია. იმ პერიოდში რ. გოცირიძემ ხელისუფლების წინაშე დააყენა 1991—92 წლებში მატერიალურად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის საკითხი, რაც ამ მეანაბრეებზე სახელმწიფო ქონების ნაწილის ფასიანი ქაღალდების სახით გადაცემას გულისხმობდა. ეს მეთოდი, ავტორის ჩანაფიქრით, პრივატიზაციის პროცესს დაეჩქარებდა, მაგრამ შეთავაზებული წინადადება უარყოფილი იქნა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება მოქალაქეთა დანაზოგების აღდგენისა და დაცვის შესახებ. იგი ითვალისწინებს რუსეთის მოქალაქეთა 3-4 წლის წინანდელი დანაზოგების გაუფასურების კომპენსაციას ზუსტად იმ მეთოდით, რომელიც ქართველ ეკონომისტს აქვს შემუშავებული.

სტატია ამ მეთოდის შესახებ რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა.

დასასრულს რ. გოცირიძემ გვითხრა: მატერიალურად დაზარალებულ მოქალაქეთა ჩაბმა სახელმწიფო ქონების მართვაში ზემოთ ხსენებული ორივე პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა, რაც, ამასთანავე, მახინჯი ფორმით მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ერთგვარ გაკეთილშობილებას და გაუმჯობესებას ხელს შეუწყობდაო.

რესპუბლიკელებს განზრახული აქვთ დაზარალებულ მეანაბრეთა კომპენსაციის ორივე საკითხის დასმა საქართველოს პარლამენტში.

28 ივნისი 1995 წ.

საქართველო დემოგრაფიულ სარკეში

შობადობის პრობლემა

შობადობის დონის დაცემამ საქართველოში უკვე 1989 წლისთვის მიგვიყვანა მოსახლეობის აღწარმოების მარტივ ტიპამდე, რომლის შენარჩუნებაც გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ იწვევს მოსახლეობის ზრდის შეწყვეტას. ასეთ პირობებში საქართველოს მოსახლეობა ზრდას შეწყვეტდა 2015 წელს 6,8 მილიონი მცხოვრებით. მაგრამ ეს მოხდებოდა იმ შედარებით ნორმალურ პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში იმ დროისათვის.

ბოლო დროს საქართველოში წარმოქმნილი ღრმა საყოველთაო კრიზისის შედეგად დემოგრაფიულმა ვითარებამ განიცადა უდიდესი ძალის დამანგრეველი დარტყმა, რომლის კომპენსაცია ძალიან გაჭირდება.

ასეთი ვითარება გვაიძულებს ახლებურად გავიაზროთ და გავთვალოთ სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული კურსი. თუ დღემდე დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანად მიჩნეული იყო მოსახლეობის სტაბილიზაციის მომენტის გადაწევა რაც შეიძლება მეტი რიცხოვნობით, დღეს იგი ფაქტიურად ოცნებად იქცა. სადღეისო და უახლოესი მომავლის ამოცანაა შევინარჩუნოთ არსებული მოსახლეობა, მით უმეტეს, რომ შობადობის შემცირებისა და გარემიგრაციის უარყოფითი ბალანსის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 1991-1995 წლებში 49 ათასი კაცით შემცირდა. დემოგრაფიული პოლიტიკის შემდგომ ეტაპზე კი უნდა დაისვას მოსახლეობის თუნდაც მინიმალური, მაგრამ სტაბილური ზრდის უზრუნველყოფის ამოცანა.

მოსახლეობის ზრდის ძირითად ფაქტორს შობადობა წარმოადგენს. შობადობის დონე წარსულში დღევანდელთან შედარებით გაცირებით მაღალი იყო. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით საქართველოში იბადებოდა 40 ადამიანი, ე.ი. შობადობის დონე 40 პრომილეს შეადგენდა (იწერება როგორც — 40 ‰). 1865 წლიდან იწყება შობადობის დონის შემცირება. კერძოდ, 1865/1900—1913 წლებში შობადობის დონე 40 ‰ -დან 28 ‰ -მდე დაეცა. შობადობის შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოში იწყება 1960 წლიდან. შობადობის კოეფიციენტი 1960—1990 წლებში 24-დან 17 ‰-მდე დაეცა.ამის შემდეგ შობადობის დონის კატასტროფულ შემცირებას აქვს ადგილი: 1991 წლისთვის — 16,6 ‰-მდე, 1992 წლისთვის — 14,9 ‰ -მდე, 1993 წლისთვის კი — 12,6‰ -მდე.

წარსულში შობადობის მაღალი დონის განმპირობებელი ფაქტორების ისტორიულ ტრანსფორმაციას მოჰყვა შობადობის დონის შემცირება. რა ფაქტორები გვაქვს მხედველობაში? წარსულში შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე. ომები, შიმშილობა, ეპიდემიები იწვევდნენ ისეთ მაღალ მოკვდაობას, რომ მოსახლეობის ზრდა მიიღწეოდა მხოლოდ მაღალი, შეუზღუდავი შობადობით. განსაკუთრებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა ეპიდემიებს. მაგალითად, 1844 წლისთვის თბილისში გარდაცვლილთა 42 % მოდიოდა ეპიდემიებზე და 41 % სხვადასხვა ქრონიკულ ავადმყოფობებზე; 0—5 წლის ასაკის ბავშვები გარდაცვლილთა 55,5 %-ს შეადგენდნენ. მოკვდაობის მაღალი დონის შედეგად მოსახლეობის ზრდა მეტად არაეკონომიური იყო.

იმისათვის, რომ მოხდეს თაობათა ცვლა, საჭიროა დაბადებულებმა მიაღწიონ მშობლების იმ ასაკს, რა ასაკშიც იყვნენ მშობლები მათი დაბადებისას. მშობლების ამ ასაკს შეიძლება მიაღწიონ შვილების მშობლებზე მეტი რიცხოვანმა, თანაბარრიცხოვანმა ან რიცხობრივად მეტმა რაოდენობამ. ამის შესაბამისად არსებობს მოსახლეობის აღწარმოების შეკ-

გაგრძელება მე-4 გვ.

საქართველო დემოგრაფიულ სარკეში

შობადობის პრობლემა

ვეცილი, მარტივი და გაფართოებული ტიპი. XIX საუკუნის ბოლოსათვის მშობლების საშუალო ასაკი საქართველოში შვილის დაბადებისას 30 წელს შეადგენდა. იმავდროულად 30 წლის ასაკს აღწევდა დაბადებულთა მხოლოდ 57 %. ანალოგიურ და ხშირად უარეს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ევროპის ბევრ ქვეყანაში.

აქედან გამომდინარეობს, რომ თუ მშობლებს უნდოდათ გაეზარდათ შვილების გარკვეული რაოდენობა, საჭირო იყო მასზე სულ ცოტა ორჯერ მეტი გაეჩინათ. დემოგრაფიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ წარსულში ოჯახები იყვნენ არა იმდენად მრავალშვილიანები, რამდენადაც მეტს აჩენდნენ. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ოჯახის საშუალო სიდიდე ევროპაში და ჩვენში დიდად არ განსხვავდებოდა თანამედროვე ოჯახისაგან, თუმცა საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ წარსულში მოსახლეობა ცხოვრობდა ოქროს დემოგრაფიულ საუკუნეში, ოჯახები იყვნენ მრავალშვილიანები და მხოლოდ „ჩვენს დროში" ადამიანები „გაფუჭდნენ", რამაც მიგვიყვანა მცირეშვილიანობამდე. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გაანგარიშებით, 1886 წელს კომლის საშუალო სიდიდე საქართველოში 6,2 სულს შეადგენდა, ხოლო დღეს ოჯახის საშუალო სიდიდე 4 სულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც წესი, კომლი ერთზე მეტი ოჯახისაგან შედგებოდა, ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებითი განსხვავება აღარ დარჩება.

შვილების რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ყოლა ოჯახში საჭირო იყო აგრეთვე მშობლების სიბერის უზრუნველსაყოფად. მაღალ შობადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოჯახის ეკონომიკური ფუნქცია. წარსულში ოჯახები წარმოადგენდნენ როგორც მომხმარებლური, ისე მწარმოებლური ფუნქციების მატარებლებს. ამ პირობებში ბავშვების შრომა ფართოდ გამოიყენებოდა და ისინი მნიშვნელოვან საწარმოო ძალასაც წარმოადგენდნენ.

რამდენადაც შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე, ამ უკანასკნელის შემცირებას თან მოჰყვა შობადობის დონის დაცემაც. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოკვდაობის დონე საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით 30 აღწევდა, 1886-1890 წლებში იგი შემცირდა 17,5, 1911-1913 წლებში — 15,4-მდე, ხოლო 1960—1990 წლებში 6,5-10 პრომილეს ფარგლებში მერყეობს. მოკვდაობის ასეთი მკვეთრი შემცირების შედეგად, მოსახლეობის ზრდა თანამედროვე პირობებში გაცილებით ეკონომიური გახდა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში 70 ‰ ბუნებრივი მოძრაობა (40 ‰ შობადობა და 30 ‰ მოკვდაობა) იძლეოდა 10 ‰ ბუნებრივ მატებას, 1970—1980 წლებში იგივე 10 ‰ ბუნებრივ მატებას იძლევა 26 ‰ ბუნებრივი მოძრაობა (18 ‰ შობადობა და 8 ‰ მოკვდაობა); ეს იმას ნიშნავს, რომ წარსულის დემოგრაფიული ეფექტის მისაღებად დღეს საჭიროა ადამიანთა 26-ჯერ ნაკლები (70:26) სასიცოცხლო ენერგიის დანახარჯები.

საზოგადოებრივმა პროგრესმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებამ, შვილების, როგორც მშობლების სიბერის უზრუნველყოფის გარანტის როლი მინიმუმამდე შეამცირა, თუ საერთოდ ზედმეტი არ გახადა. შეიცვალა ოჯახის ფუნქცია. მისმა მწარმოებლურმა ფუნქციამ გარკვეულად დაკარგა მნიშვნელობა და გაიზარდა მომხმარებლის ფუნქცია. წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შეზღუდა ბავშვთა არაკვალიფიციური შრომის გამოყენების სფერო და ბავშვი ოჯახში მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცა. ამით საზოგადოებამ ბავშვებს აჩუქა ნამდვილი ბავშვობა. აღნიშნულის შედეგად ოჯახში შვილიანობის შეზღუდვამ სხვებთან ერთად ეკონომიკური გამართლებაც ჰპოვა.



შობადობის დონის შემცირებაში დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმების ზრდამ და მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებამ. რამდენადაც შობადობა დასაქმებულ ქალებში დაბალია დაუსაქმებელ ქალებთან შედარებით, დასაქმების საერთო დონის ზრდა სხვა თანაბარ პირობებში დაბლა სწევს შობადობის საერთო დონეს. თანამედროვე პირობებში, 15-49 წლის ყოველ 100 დასაქმებულ ქალზე საქართველოში მოდის 213 დაბადებული, ხოლო დაუსაქმებლებზე — 249. განსხვავებები წინა პერიოდში გაცილებით დიდი იყო. დასაქმებადაუსაქმებლობის ფაქტორი გაცილებით ძლიერად მოქმედებს კაცების რეპროდუქციულ ქცევაზე, ვიდრე ქალებისაზე. საკმარისია ვუჩვენოთ, რომ ზემოთმოტანილი მაჩვენებელი 15-59 წლის დასაქმებულ კაცებში 257, ხოლო დაუსაქმებლებში — 196 შეადგენს. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია დაუსაქმებელ ქალებში, ხოლო კაცებში დასაქმებულებში. მაგრამ რამდენადაც შობადობის დონის ფორმირებაში გადამწყვეტია ქალის რეპროდუქციული ქცევა, იმდენად შობადობის დონის ფორმირებაზე გადამწყვეტია ქალების დასაქმების დონე.

შობადობის დონე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია განათლების დონესთან. დასაქმებისაგან განსხვავებით განათლება გაცილებით ძლიერად ზემოქმედებს ქალების რეპროდუქციულ ქცევაზე, ვიდრე კაცებისაზე. უმაღლესი განათლების 15-49 წლის ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით დღეისათვის მოდის 168 დაბადებული, ხოლო საშუალო განათლების მქონე ამავე ასაკის 100 ქალზე — 279 დაბადებული. კაცებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად 225 და 283 ტოლია. მაჩვენებლებს შორის სხვაობა ქალებში 111, ხოლო კაცებში 58, ე.ი. თითქმის ორჯერ ნაკლებს შეადგენს.

დემოგრაფიული განვითარების შედეგად მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობაზე გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ საქართველოში მოხდა გადასვლა მცირეშვილიან (2 და ფაქტიურად 1 შვილით) ოჯახზე, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს სამშვილიანი ოჯახი. დღეს საქართველოში უკვე პრობლემაა შვილის გაჩენა, იმდენად „ძვირი ჯდება საკუთარი შვილის ყიდვა" სამშობიაროში. „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას" სრულად აკმაყოფილებს ოჯახში ერთი შვილიც კი. სწორედ აქ წამოიჭრება წინააღმდეგობა ოჯახსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც ერთ და ორშვილიანი საშუალო ოჯახი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1960—1989 წლებში მესამე და მეტი რიგის ბავშვების ხვედრი წილი დაბადებულებში 35 %-დან 19 %-მდე შემცირდა.

საქართველოში 1993 წელს აღრიცხული შობადობის დონე, 12,6 ‰, შეესაბამება მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმს. ამასთან მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმის უზრუნველსაყოფად შობადობის დონე 14 ‰ უნდა აჭარბებდეს. მართალია, 1994 წლის სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ნულზე იყოს დაცემული და არც მოკვდაობის შობადობაზე გადამეტებაა გამორიცხული.

მოსახლეობის მარტივი აღწარმოების რეჟიმს შეესაბამება დაახლოებით 210 დაბადებული 15-49 წლის ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით. აღნიშნულმა საშუალორესპუბლიკურმა მაჩვენებელმა 1989 წელს 213 შეადგინა, რაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. მაგრამ მარტივი აღწარმოების მაჩვენებელიც მიიღწეოდა არაქართველი (რუსებისა და უკრაინელების გარდა) მოსახლეობის ხარჯზე, რადგან მოცემული მაჩვენებელი ქართველებში — 201, შეკვეცილ აღწარმოებას უჩვენებს, ხოლო მაჩვენებელი არაქართულ მოსახლეობაში — 242, გაფართოებულს, რაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მარტივი აღწარმოების რეჟიმის ჩარჩოებში თავსდება.

შობადობა საქართველოში დიფერენცირებულია ცალკეული ეროვნებების მიხედვით. 1989 წლის მონაცემებით 15-49 წლის ასაკის ყოველ 100 ქალზე მოდიოდა დაბადებული: აზერბაიჯანელებში — 299, სომხებში — 240, ქართველებში — 201, რუსებში — 160. უკანასკნელ წლებში დიდი დარტყმა განიცადეს ეთნიკურმა დემოგრაფიულმა პროცესებმაც. 1992 წლის მონაცემებით ყოველი 100 გარდაცვლილი რუსი ეროვნების ადამიანზე დაიბადა მხოლოდ 50. ეს მაჩვენებელი 1989 წელს 85 შეადგენდა, უკანასკნელი სამი ათეული წლის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რუსი (ასევე უკრაინელი) მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების დემოგრაფიული საფუძველი საქართველოში აღარ არსებობს, თუ არ მოხდა მისი შევსება მიგრაციის გზით. იმავე 1992 წლისთვის ყოველი 100 გარდაცვლილი სომეხი ეროვნების მოქალაქეზე დაიბადა 110 ადამიანი (1989 წელს — 189). შესაბამისად, ყველაზე დიდი დარტყმა 1989—1992 წლებში მიიღეს დემოგრაფიულმა პროცესებმა რუს და სომეხ ეროვნებებში.

1992 წლისათვის ყოველი 100 გარდაცვლილი ქართველი ეროვნების მოქალაქეზე 160 დაბადებული მოდის (1989 წელს — 189). 1989—1992 წლებში ქართველების ხვედრი წილი დაბადებულთა საერთო რიცხვში 70 %-დან 77,6 %-მდე გაიზარდა. მოსახლეობის საერთო რიცხვში კი ქართველების ხვედრი წილი 70 % შეადგენს. ასეთ დადებით სტრუქტურულ ცვლილებებს საქართველოში ქართველების დემოგრაფიულ მდგომარეობასთან მიმართებაში დღემდე ადგილი არ ჰქონია. ეს იმის შედეგია, რომ 1989—1992 წლებში ყველაზე ნაკლები დარტყმა მიიღეს დემოგრაფიულმა პროცესებმა ქართველ მოსახლეობაში.

იმავე 1992 წლისათვის ყოველი 100 გარდაცვლილი აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეზე 340 ადამიანი დაიბადა (1989 წელს — 494). ეს მაჩვენებელი ქართველების ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 2,1-ჯერ, სომხებისას — 3,1-ჯერ, რუსებისას — 6,8-ჯერ. დაბადებულთა საერთო რიცხვში აზერბაიჯანელები 9,1 %, ხოლო მოსახლეობის საერთო რიცხვში 5,7 % შეადგენენ.

შობადობის ეთნიკური საკითხების კვლევისას ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ეროვნულად შერეული ქორწინებები შობადობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ჩვენი გამოთვლებით, 1989 წელს ყოველ 1000 ერთეროვნულ ოჯახზე გაანგარიშებით დაიბადა 75 შვილი, ხოლო შერეულეროვნულ ოჯახებში — 55, ე.ი. 20 შვილით ნაკლები. საქმეს ვერ შველის ის გარემოება, რომ შერეული ქორწინებები, ქართველი დემოგრაფების გამოკვლევებით, შედარებით უფრო ახალგაზრდა ასაკებში ხდება, ვიდრე ერთეროვნული.

ეთნიკური დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის ანალიზიდან გამომდინარე ახლო მომავალში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის უცვლელობის პირობებში შეიძლება გაიზარდოს ერთი ეროვნების მოსახლეობის რიცხოვნობა (სავარაუდოა აზერბაიჯანელების) და შემცირდეს მეორის (რუსების) რიცხოვნობა, რაც გასათვალისწინებელია ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრისას.

მერაბ ხმალაძე

წმინდანები ჯოჯოხეთში?

(ღია წერილი სათანადო ინსტანციებს)

«მოვა დრო, როდესაც იოსებ ბესარიონის ძე სტალინს თვით ხალხი და ეკლესია წმინდანად შერაცხავს».

მიხეილ ჭაბუკაშვილი
საქართველოს ერთიანი კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი



საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს
— ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს მთავრობის
თავმჯდომარეს — ოთარ ფაცაციას

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს — ილია II-ს
(შიოლაშვილს)

საქართველოს ეკლესიის უწმინდეს
სინოდს, ეპისკოპოსებსა და
მღვდელთმთავრებს

საქართველოს უშიშროების სამსახურის
თავმჯდომარეს — იგორ გიორგაძეს

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრს — შოთა კვირაიას

ბატონებო და ამხანაგებო!

უკვე ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაზ. „კომუნისტში“ (№14 1994 წ.) სეკპ-ცკ მდივანმა, ამხ. მიხ. ჭაბუკაშვილმა დღის წესრიგში დასვა საკითხი კაცობრიობის უკვდავი ბელადის, ყველა დროის უუდიდესი და უუგენიოსესი ქართველის, გულთამხილავის და ბრძენთაბრძენის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ჯუღაშვილი) წმინდანად შერაცხვის თაობაზე. სამწუხაროდ, ეს საშური საქმე, რომლის დადებითად გადაწყვეტა შესაბამისი ზემდგომი ინსტანციების მიერ გამოიწვევდა ჯერაც არნახულ აღფრთოვანებას მასებისას, და, აქედან გამომდინარე, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების გაზრდას — გაუმართლებლად ჭიანურდება. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს სასიკეთო ძვრებიც, კერძოდ, ამ ბოლო დროს, დიდი ბელადის ძეგლთა რესტავრაციაღდგინების აქტიურად მიმდინარე პროცესი, აგრეთვე კომუნისტური პარტიის ღვაწლმოსილი რაინდების უმართებულოდ შეგინებულ სახელთა რეაბილიტაცია, რაც ჭეჩა-მოედნებისათვის ძველ, ბოლშევიკურ დასახელებათა დაბრუნებითა და სახელმწიფო მეთაურის მიერ ბელადის სახლმუზეუმში ვიზიტით გამოიხატა.

აქვე აღვნიშნავ, რომ სამწუხაროდ საქართველოს ეკლესიაში ზოგიერთებს ჯერ კიდევ საკმარისად არ აქვთ შეგნებული ის უდიდესი სიკეთე, რაც ზოგადად ბოლშევიკებმა და კონკრეტულად სტალინმა მოუტანა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ამგვარი უგუნურების მომსწრე, მე თვითონ ვარ: — როცა ერთ-ერთ ეკლესიის მოძღვარს ვკითხე, თუ რას აკეთებს იგი სტალინისა და მისი თანამებრძოლების წმინდანთა კანდიდატურებად წამოყენებისათვის, პასუხად მივიღე: ეგენი ყველა ეშმაკის მსახურები იყვნენ და ახლა დამსახურებისამებრ, ჯოჯოხეთში იხრუკებიანო. ჰეშმარიტად, ამისთანა მღვდელის შემხედვარე კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ რელიგია ოპიუმია ხალხისთვის: კარგი იქნება, თუ საქართველოს საპატრიარქო მეტ ყურადღებას დაუთმობს კადრების შერჩევას და გაითვალისწინებს ხალხის ინტერესებს.

ახლა კონკრეტულად: ჩემის ღრმა რწმენით, აუცილებელია არა მარტო სტალინის, არამედ არაერთი მისი ღირსეული თანამებრძოლის წმინდანთა შორის ჩარიცხვა, რათა ჩვენს მომავალ თაობებს გააჩნდეთ ცხოვრებაში მისაბაძი მაგალითები (ყველა ხომ სტალინის სიმაღლეს ვერ მისწვდება?). ამ მიზნით, მე ვანვითარებ ამხ. ჭაბუკაშვილის რაციონალიზატორულ წინადადებას და აქვე გთავაზობთ ბრძანებულების პროექტს, რომელიც სასურველია დამტკიცდეს პარლამენტის უახლოეს სხდომაზე და დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში.

პროექტი

საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი

ბრძანებულება

ხალხის სახელით!

ითვალისწინებს რა ერისა და ქვეყნის, აგრეთვე მთელი კაცობრიობის წინაშე გაწეულ დაუფასებელ ამაგს, საქართველოს ეკლესია, ქართველი ხალხი და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ერთსულოვნად ადგენს:

მიენიჭოთ „წმინდანის“ საპატიო წოდება:

1. იოსებ ბესარიონის ძე სტალინს (წმ. სოსელო) — 1921-1953 წწ. ქართველი ერისა და ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რაც გამოიხატებოდა

ა) საქართველოსთან მიმართებაში არაქართველთა სახელმწიფოებრივი ავტონომიზაციით, თუნდაც ოდნავ უკმაყოფილოთა მასობრივი წმენდით და საერთოდ „საქართველოს წაღმა-უკუღმა გადახვნით“ (ციტატა წმ. სოსელოს ეპისტოლედან მოსკოვიტელთა მიმართ, მ.კ.) მისივე საკეთილდღეოდ და

ბ) მსოფლიოსთან მიმართებაში ყველასთვის შიშის ზარის დამცემი იმპერიის შექმნით,..

2. ლავრენტი პავლეს ძე ბერიას (წმ. ლავრენტი) — ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებაში გამოვლენილი საუკეთესო ორგანიზატორული თვისებებისა და პირადი ინიციატივით გატარებული ანალოგიური ხასიათის დამატებითი ღონისძიებების გამო.

3. გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძეს (წმ. სერგო) — 1921 წ. 25 თებერვალს მე-II (განმანთავისუფლებელი) არმიის გმირული წინამძღოლობის, ე.წ. „დამოუკიდებელ საქართველოს“ ანტიხალხური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ათასობით ურჯულოს ლიკვიდაციაში გამოვლენილი მამაცობისათვის.

4. ფილიპე ესეს ძე მახარაძე (წმ. ფილმახი) — პროვინციული ნაციონალიზმის მამამთავრის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მემამულეთა გავლენიანი ლიდერის, ვინმე ილ. ჭ-ძის იდეურ-ორგანიზაციული და ფიზიკური განადგურებისათვის.

5. სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანს (წმ. კამო) — საბანკო-საკრედიტო სისტემის ექსპროპრიაციისა და კომუნისტთა მენიუში ახალი, ფრიად პოპულარული სამარხვო საჭმელის დანერგვისათვის.

შენიშვნა: რასაკვირველია, დამსახურებათა ჩამონათვალი სრული არ არის და შესაძლებელია კორექტივების შეტანაც. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი დესტრუქციული ოპოზიციის ძალისხმევით ჩააგდებს აღნიშნულ ბრძანებულებას, სახელმწიფოს მეთაურის დეკრეტით ჩატარდეს საერთო-სახალხო რეფერენდუმი. დარწმუნებული ვარ ქართველი ხალხი თავს არ შეირცხვენს და თავის სიტყვას იტყვის!

დიდება სკკპ-ს!

ბოლშევიკური სალამით,
სეკპ-ს გულმხურვალე
მხარდამჭერი
მ. კალმახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, — „ლაო, ბატონო მელაო“-ს მემკვიდრეები პოლიტიკაში

ვასაოცარია პირდაპირ ის გულმოდგინება, რომლითაც ყველა ბავშვს ვასწავლით ზღაპარს „მელია და ჩიტი“. ბავშვი ენას ამოიდგამს თუ არა „...ლაო, ბატონო მელაო“ ხელად იცის. აუარება ზღაპარი გვაქვს, ბევრზე ბევრი მათგანი ბავშვობიდან ძლივსღა ბჟუტავს ჩვენი წესხიერების კუნჭულებში. ეს ზღაპარი კი ყველას კარგად გვახსოვს. შეიძლება ითქვას, რომ ვერ ნახავთ ქართველს, რომელმაც ამ ზღაპრის შინაარსი არ იცოდეს.

ყველამ ვიცით!

პირდაპირ საოცარია მისი სწავლების ასეთი ძლიერი ტრადიცია!

რა მორალი აქვს ასეთი ამ ზღაპარს, რომ ყველა ვასწავლობთ და ვასწავლით. არა და ამაზრზენი ზღაპარი ჩანს. აბა გავიხსენოთ შინაარსი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. ხეზე ბუდე გაიკეთა, სამი კვერცხი დადო, საში ბარტყი გამოჩეკა, ზრდიდა და ჭიკჭიკებდა. მაგრამ გამოჩნდა მელია, რომელიც ქვემოდან მიადგა ხეს და ჩიტს შესძახა:

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო,
— რაო, ბატონო მელაო?
ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ.
ცულს მოვიტან, ცუნცულასო,
ხელეჩოს და ნალდუნასო,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცო
შენც შეგჭამ და შენ შვილსაცო.

შეეშინდა ჩიტს და გადაუგდო მელას ერთი ბარტყი. მელამ შეჭამა ბარტყი იქვე ბუჩქებში, კვლავ მიადგა ჩიტისბუდიან ხეს და კვლავ შესძახა „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...“ და ა.შ. ზუსტად იგივეს იმეორებს მელა. ზღაპარი ზუსტად იმეორებს ზემოთმოტანილი ლექსის ტექსტს, რომლის შვიდ ხაზში მხოლოდ ერთი ხაზია ჩიტის პასუხი — „რაო, ბატონო მელაო“ — მეტი არაფერი.

ისევ შეეშინდა ჩიტს და გადაუგდო მეორე ბარტყიც. მელიამ ისიც გადაყლაპა და ზუსტად იგივე მუქარით კვლავ მიადგა ჩიტს. ჩიტმა მესამე ბარტყიც გადაუგდო და დარჩა უბარტყოდ (უშვილოდ) გაუბედურებული. მიატოვა თავისი ბუდე და გაფრინდა. მელას შემოხვდა თოფიანი მონადირე, რომელმაც ესროლა, მოკლა, გაუფატრა მუცელი, ამოიყვანა იქიდან ცოცხალი ბარტყები, ჩაუსხა ჩიტს ბუდეში და ჩიტმაც გააგრძელა ბედნიერი ცხოვრება. ეს არის ამ ზღაპრის ერთი ვარიანტი. მეორე ვარიანტი უფრო მოკლეა, კერძოდ, იგი იმით მთავრდება, რომ მონადირე ესვრის მელას და კბილებს ჩაუმტვრევს, მელას მოკვლაზე და ბარტყების გაცოცხლებაზე იქ ლაპარაკი არ არის, არც ჩიტის დაბრუნებაზე თავის მიტოვებულ ბუდეში.

ამრიგად, ამ ზღაპარში ჩიტმა ყველა ბარტყი გადაუგდო მელას. შეეშინდა მელიის მუქარის და სათითაოდ ჩამოუყარა მელას თავისი შვილები.

ჯერ ერთი!
მერე მეორე!
მერე მესამეც!

ვაიმე, შვილები გაიმეტა, ხალხო, ყველა შვილი, თანაც ხმა არ გაუღია, ისე. თუ ვერ მოიფიქრა, რომ ხეზე მელა ვერაფერს დააკლებდა, მაშინ თავიდანვე რატომ არ დაუძახა თავის თვისტომებს და მეზობლებს — მომეხმარეთო. ან რატომ არ თქვა — ეს რას მეუბნება მელაო, ეს რას მოვესწარიო, შვილი როგორ უნდა გავიმეტოო. ჯერ მე თვითონ გადავევარდებიო, მე შევენირებიო, იქნებ გაძღეს და ჩემს შვილებს შეეშვასო, მეზობლებო მიშველეთო, შვილები მელუპება, დედა ენაცვალოთ ამათო, დედა დაედოთ ნამლად ამათო.

არა, სათითაოდ გადაყარა ყველა!

თითო დაძახებაზე!

თანაც მელას და ჩიტის ურთიერთმიმართვის (ანუ დიალოგის) ფორმას დააკვირდით — შვილი მომეცი შესაჭმელადო — ეუბნება მელია ჩიტს და თან ალერსით მიმართავს „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო“ — გეგონება თავზე მოფერებით თათს უსვამსო. მეორე და მესამე შვილის გადმოგდებასაც ასე მოფერებით მოსთხოვს. ის კიდევ, ჩიტი — ბატონო და ბატონოო, ბატონო და ბატონოო. განა განგაშსა სტეხს. არა და ის ზღაპარიც ხომ გვაქვს, აშარმა ცოლმა დედის გული რომ მოსთხოვა კატეგორიულად ქმარს, იმანაც დედა რომ მოკლა, გული ამოაცალა და ცოლს მიურბენინა, მაგრამ გზაში ფეხი ნამოკრა რაღაცას, ნაიქცა და დედის გულმა (სხეულიდან ამოღებულმა გულმა, ხელში რომ ეჭირა გარეწარს) წამოიძახა: „დედა მოგიკვდა შვილო, ხომ არაფერი იტკინეო“. აჰა, ეს ზღაპარიც ხომ ჩვენია!

მართლაც, ამაზრზენი ზღაპარია ეს „მელია და ჩიტი“. და ამ ამაზრზენ ზღაპარს უკლებლივ ყველა ბავშვს ვასწავლით. ყველას! ისინიც შემოგეტიტინებენ „...ლაო, ბატონო მელაო“. საოცარია პირდაპირ! იცით კიდევ რა არის საოცარი? არცერთი ბავშვი არ აზლუქუნდება და არ ეტყვის დედას — დედიკო, ჩემი გადაგდება რომ მოგთხოვოს ვინმემ, მეც გადამაგდებო?



არა, ამ ზღაპრის ასეთი გააზრების ტრადიცია არ არსებობს.

ყველა ზღაპარს თან სდევს თავისი ნაკითხვა-მოყოლის ინტონაციის ტრადიცია. ამ ზღაპარს ისეთი გაბრწყინებული სახით ვასწავლით გულში ჩაკრულ ჩვენ შვილებს, რომ მათ ასეთი საშინელი განსაცდელის შიში არ უჩნდებათ. ე.ი. ისე ვასწავლით, რომ ეს ზღაპარი კონკრეტულ შვილს და კონკრეტულ დედას არ ეხება, არ გულისხმობს.

აბა რას გულისხმობს? ყველა ზღაპარს ხომ თავისი მთავარი დედა-აზრი და მორალი აქვს. მაგალითად, „რწყილი და ჭიანჭველაში“ მთავარი ისაა, რომ ახლობლის გადასარჩენად ქვეყანა უნდა შესძრა, ყველა გზა და საშუალება სცადო. „ნაცარქექიაში“ — რომ პატარა და უძალო ნაცარქექიას (რომელშიც საქართველოს განსახიერებას ხედავენ მეცნიერები) ჭაუთი და მოხერხებით შეუძლია დაამარცხოს დიდი და ძლიერი დევებიც (მტრები) კი.

ეს ზღაპარი „მელია და ჩიტი“ კი რატომ და რისთვის შეიქმნა?

ერთხელ კიდევ გავიაზროთ ზღაპრის შინაარსი:

ჩიტი ხეზე სახლობს. მელია ხეზე ობიექტურად მას ვერაფერს დააკლებდა. აი, ბუჩქიდან კი ადვილად ჩამოაგდებდა. აეღო ფოლკლორსაც და ხეზე კი არა, ბუჩქზე დაესახლებინა ჩიტი, მინდან ცოტა მაღალზე. მელიაც ეტყოდა — ჩიტო, მიეანვები ამ ბუჩქის ტოტებს და შენი შვილებიანად ჩამოგბერტყავ ძირსო.

არა, ხეზეა ჩიტი დაბუდებული, ხეზე.

თუ მაინცდამაინც ხეზე დაბუდა ამ ზღაპრის შემქმნელმა ჩიტი, მაშინ რატომ მაინცდამაინც მელა შეუჩინა და არა, ვთქვათ, დათვი ან კატა. ხეზე დაბუდებული ჩიტისთვის ესენი ხომ უფრო საშიში შეიძლება ყოფილიყვნენ. დათვს შეეძლო ეთქვა — ამოვალ ამ ხეზეო (კატასაც), ან მიეანვები და გადავამტვრევეო, ან დავარხევ და ჩამოგყრითო — ეს ხომ უფრო ახლოს იქნებოდა რეალობასთან. არა, მაინცდამაინც ხეზე დაბუდა ფოლკლორმა ჩიტი და მაინცდამაინც მელია შეუჩინა ქვემოდან.

ვინმემ შეიძლება თქვას, ზღაპარში ჩართული გალექსილი დიალოგი მელასა და ჩიტს შორის ისე კარგად არის გარითმული მელასთან, სხვა ცხოველთან ასე ვერ გაირითმებოდაო. არაფერიც. ჩვენი ფოლკლორი სხვა ცხოველთანაც შესძლებდა იგივე შინაარსის კარგად გარითმვას.

მაშ რაშია საქმე?

ეტყობა იმაშია საქმე, რომ ეშმაკი ცხოველი უნდა ყოფილიყო აუცილებლად აღებული, რომელსაც არაფერი იმის გაკეთება არ შეუძლია, რასაც იქადნის, მაგრამ ჭკუა აქვს და ადვილად აშინებს ჩიტს. ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცო. იარაღიც ნახეთ (ჰოი, თავლაფდასხმა), — ხელეჩო და ნალდუნაო, ცული-ცუნცულაო (შენ ესეც გეყოფა შესაშინებლადო). თანაც არც ეს იარაღი აქვს იქვე — მოვიტანო.

პატარაა ჩიტი, ტვინიც პატარა აქვს, ჭკუა და გამჭრიახობა არ ყოფნის, რომ შვილების გადარჩენის გზები მოძებნოს, ან ეცადოს მაინც რამეს. — შენც შეგჭამო — ემუქრება გაქნილი მელა ჩიტს, ისიც, გონებადაბინდული შიშისაგან, უყრის და უყრის გარეულ მხეცს საკუთარ შვილებს, სამივეს. თანაც დაუკვირდით, — პირველი და მეორე შვილის გაწირვამ არც კი ჩააგდო ჩიტი სასონარკვეთაში.

მაინც რაშია საქმე?

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ყველა ბავშვს ვასწავლით. ყველას! ისინიც შემოგეტიტინებენ „...ლაო, ბატონო მელაო“. საოცარია პირდაპირ! იცით კიდევ რა არის საოცარი? არცერთი ბავშვი არ აზლუქუნდება და არ ეტყვის დედას — დედიკო, ჩემი გადაგდება რომ მოგთხოვოს ვინმემ, მეც გადამაგდებო?

არა, ამ ზღაპრის ასეთი გააზრების ტრადიცია არ არსებობს.

ყველა ზღაპარს თან სდევს თავისი ნაკითხვა-მოყოლის ინტონაციის ტრადიცია. ამ ზღაპარს ისეთი გაბრწყინებული სახით ვასწავლით გულში ჩაკრულ ჩვენ შვილებს, რომ მათ ასეთი საშინელი განსაცდელის შიში არ უჩნდებათ. ე.ი. ისე ვასწავლით, რომ ეს ზღაპარი კონკრეტულ შვილს და კონკრეტულ დედას არ ეხება, არ გულისხმობს.

აბა რას გულისხმობს? ყველა ზღაპარს ხომ თავისი მთავარი დედა-აზრი და მორალი აქვს. მაგალითად, „რწყილი და ჭიანჭველაში“ მთავარი ისაა, რომ ახლობლის გადასარჩენად ქვეყანა უნდა შესძრა, ყველა გზა და საშუალება სცადო. „ნაცარქექიაში“ — რომ პატარა და უძალო ნაცარქექიას (რომელშიც საქართველოს განსახიერებას ხედავენ მეცნიერები) ჭაუთი და მოხერხებით შეუძლია დაამარცხოს დიდი და ძლიერი დევებიც (მტრები) კი.

ეს ზღაპარი „მელია და ჩიტი“ კი რატომ და რისთვის შეიქმნა?

ერთხელ კიდევ გავიაზროთ ზღაპრის შინაარსი:

ჩიტი ხეზე სახლობს. მელია ხეზე ობიექტურად მას ვერაფერს დააკლებდა. აი, ბუჩქიდან კი ადვილად ჩამოაგდებდა. აეღო ფოლკლორსაც და ხეზე კი არა, ბუჩქზე დაესახლებინა ჩიტი, მინდან ცოტა მაღალზე. მელიაც ეტყოდა — ჩიტო, მიეანვები ამ ბუჩქის ტოტებს და შენი შვილებიანად ჩამოგბერტყავ ძირსო.

არა, ხეზეა ჩიტი დაბუდებული, ხეზე.

თუ მაინცდამაინც ხეზე დაბუდა ამ ზღაპრის შემქმნელმა ჩიტი, მაშინ რატომ მაინცდამაინც მელა შეუჩინა და არა, ვთქვათ, დათვი ან კატა. ხეზე დაბუდებული ჩიტისთვის ესენი ხომ უფრო საშიში შეიძლება ყოფილიყვნენ. დათვს შეეძლო ეთქვა — ამოვალ ამ ხეზეო (კატასაც), ან მიეანვები და გადავამტვრევეო, ან დავარხევ და ჩამოგყრითო — ეს ხომ უფრო ახლოს იქნებოდა რეალობასთან. არა, მაინცდამაინც ხეზე დაბუდა ფოლკლორმა ჩიტი და მაინცდამაინც მელია შეუჩინა ქვემოდან.

ვინმემ შეიძლება თქვას, ზღაპარში ჩართული გალექსილი დიალოგი მელასა და ჩიტს შორის ისე კარგად არის გარითმული მელასთან, სხვა ცხოველთან ასე ვერ გაირითმებოდაო. არაფერიც. ჩვენი ფოლკლორი სხვა ცხოველთანაც შესძლებდა იგივე შინაარსის კარგად გარითმვას.

მაშ რაშია საქმე?

ეტყობა იმაშია საქმე, რომ ეშმაკი ცხოველი უნდა ყოფილიყო აუცილებლად აღებული, რომელსაც არაფერი იმის გაკეთება არ შეუძლია, რასაც იქადნის, მაგრამ ჭკუა აქვს და ადვილად აშინებს ჩიტს. ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცო. იარაღიც ნახეთ (ჰოი, თავლაფდასხმა), — ხელეჩო და ნალდუნაო, ცული-ცუნცულაო (შენ ესეც გეყოფა შესაშინებლადო). თანაც არც ეს იარაღი აქვს იქვე — მოვიტანო.

პატარაა ჩიტი, ტვინიც პატარა აქვს, ჭკუა



რაღაც დაიკარგა, ამ ზღაპრის დედააზრის ქვეტექსტი დაკარგეთ. დარჩა ტრადიცია, რომ მნიშვნელოვანი ზღაპარია და ყველამ უნდა ვიცოდეთ, სულ გვახსოვდეს და ვასწავლიდეთ. ვასწავლით კიდევაც. „...ლაო ბატონო მელაო“ მუდმივად ისმის ჩვენში. თანაც არცერთ ბავშვს ამ ზღაპრის საშინელი შინაარსი არ აშინებს — როგორც ჩანს არცერთ კონკრეტულ დედას და კონკრეტულ შვილს არ ეხება ის.

სწორედ ამაში უნდა იყოს საქმე! სატირა ყოფილა ეს ზღაპარი, თანაც მწვავე პოლიტიკური იგავ-არაკი,რომლის ძირითადი დედააზრი და დანიშნულება დაგვიკარგავს. მხოლოდ ჩვენმა დღევანდელმა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეიძლება ახსნას და ჩაგვაწვდინოს ამ ზღაპრის თავდაპირველი შექმნის მიზანს...

... კარგავდა და კარგავს საქართველო მიწებს (შვილებს), თანდათან დაგვიკარგავს ამ არაკში ჩადებული ხალხური სიბრძნე. ახლა კი, როგორ ზედაპირულად ვსწავლობთ და ვასწავლით... მელა ბარტყებს გვთხოვს და ჩვენც შედარებით ადვილად ეუყრით ამ გაქნილ გარეულ მხეცს სათითაოდ საკუთარ შვილ-მიწებს! რაღა გვიკვირს, რომ სამაჩაბლოში და აფხაზეთში საშინელი მდგომარეობაა (ალბათ, კიდევ უფრო უარესი პერსპექტივით) და ჩვენ — თითქოს არა უშავსო, ჯერ სხვაც გვყავს შვილებიო — თავებს არ ვიხოცავთ, ის კი არა და ურცხვად ვიცლით სხვადასხვაგვარი შოუების დადგმა-ჩვენებისათვის.

...როგორც ვისწავლეთ და ვასწავლით... მელა ბარტყებს გვთხოვს და ჩვენც ეუყრით.

ალბათ ის დროც დადგება, საკუთარი ბუდე რომ უნდა მივატოვოთ, ჩვენი შვილების დაკარგვით, (თანაც უჭკუობის გამო დაკარგვით) დაცარიელებული ბუდე რომ უნდა მივატოვოთ. ზღაპრის ერთი ვარიანტი ხომ სწორედ ასე მთავრდება.

თუმცა ზღაპრის მეორე ვარიანტის ოპტიმისტური ფინალიც არ უნდა დავტოვოთ ყურადღების გარეშე, რომლის მიხედვით ჩიტს მონადირე გადაურჩენს ბარტყებს. უსუსურ ჩიტს მხსნელად მოევლინება ბუნების სულ სხვა ჯიშის არსება — ადამიანი, ძლიერი და თანაც კარგად შეიარაღებული. ამაშიც [illegible] ჩამაფიქრებელი. ხომ შეიძლებოდა ფოლკლორულ ფანტაზიას ჩიტის მშველელად ორბი, შეევარდენი ან თვით ფრინველთა მეფე არწივი მოეხმო. ვთქვათ, რაღაც ამგვარი რამ რომ ყოფილიყო— მელიისგან შეშინებულმა ჩიტმა დაიწყო გამწარებული გოდება, მოფრინდა არწივი, ჩაავლო ჩიტის ბუდეს კლანჭები, აიტაცა და ისეთ ადგილზე ჩამოდო, სადაც მელია ვერაფერს დააკლებდა.

არა!

რა ქნას, სულ მარტოა ჩიტი თავის სათვისტომოში.

მერედა რატომაა მარტო, რატომ.

იმიტომ, რომ ჭკუას ძალას არ ატანს, ადვილად ტყუვდება, ადვილად იმეტებს შვილებს, მაშინ როცა ზოგი ჩიტი სხვის ბუდეშიც კი დებს კვერცხებს და სულაც სხვას აზრდევინებს კიდეც თავის შვილებს. ამ ჩიტს კი მარტო ჭიკჭიკი ეხერხება.

რა ღრმა მნიშვნელობის ყოფილა ეს იგავ-არაკი „მელია და ჩიტი“.

როგორ, იტყვის ვინმე, განა მელია მართლაც არ არის საშიში მტერი ჩიტისთვის.

არის, რა თქმა უნდა არის.

მაგრამ ყოველ სიტუაციაში — არა!

ხეზე თუ სახლობს ჩიტი, ე.ი. მყარ საფუძველზე სახლობს, თანაც ამაღლებულზე, ზეაწეულზე (სამართლიანზე?!), ასეთ პირობებში მელა მას ვერაფერს დააკლებდა. ჩიტს რომ გაეაზრებინა ეს ყველაფერი და თავიდანვე უარი ჩამოეძახებინა მელასთვის, იმას „მკვახე იყო ის ყურძენის“ თქმაღა დარჩებოდა, მაგრამ რადგან ერთხელ ისეთი პანიკური შიში გაუჩნდა ჩიტს მისი,რომ თითო დამუქრებისთანავე შვილები გადაუყარა, თან — ბატონო, ბატონოო— ელაქუცა, მელა კი ხომ სულ მელად დარჩა — შვილებიც შეუჭამა თითის გაუნძრეველად, მხოლოდ ჭკუის წყალობით და თან — ჩიორა, ჩიორაო — გააბრიყვა.

სწორედ დღევანდელი ჩვენი სიტუაცია გადაგვიხსნის ამ ზღაპრის პოლიტიკურ დედააზრს, რომლისგანაც დღესდღეობით სამწუხაროდ შემოგვრჩა „... . ლაო ბატონო მელაო“-ს ტიტინი და მის გვერდით არსებული ქართველთა გენოციდი თუ მიწების (შვილების) ნაწილ-ნაწილ დაკარგვით დამცრობილი საქართველო.

კვლავ ზღაპრის ოპტიმისტური ფინალის იმედიღა უნდა გვქონდეს, რომელიც გვეუბნება — ნუ გეშინიათო, მოვა სხვა ჯიშ-ჯილაგის არსება, კარგად შეიარაღებული და გადაგვარჩენსო.

და ვართ ასე სხვისი ხელის შემყურე.

ბევრჯერ შეეფეფარეთ კიდეც სხვას (უანგაროდ კი შეგვიფარეს?).

მაგრამ სულ რომ პატარავდება რუქაზე საქართველო?

არა და, ბოლო ხომ მაინც ოპტიმისტური აქვს ზღაპარს.

მაგრამ სულ რომ, სულ რომ პატარავდება საქართველო მაინც.

... და ტყუვდება ჩიტი დღესაც, იმისიც და მაშინაც ეშინია, ვისიც. და როცა შეიძლება არც ეშინოდეს. და ადვილად იმეტებს შვილებს დღესაც, დღესაც უყრის შვილებს მხეცებს უცხო მხსნელის იმედით.

ვაი ჩვენ, რომ სულ ვსწავლობთ ყველაფერს აზრში ჩაუწვდომლად და ამიტომაც ჭკუა ვერ ვისწავლეთ.

ამის შიში, როგორც ჩანს, დიდ მეზღაპრესაც ჰქონია, იგავ-არაკით რომ უნდოდა თავისი ხალხის გამოფხიზლება, შიში ჰქონდა და ამიტომაა, ალბათ, რომ სამჯერ დაუზარებლად გაიმეორა ერთიდაიგივე ტექსტი ზღაპარში ჩართული ლექსისა, იქნებ ბოლო-ბოლო ჩაუფიქრდნენო, სულ ერთიდაიგივე მეთოდით მოქმედებს მტერიო...

ვაი ჩვენ, რომ „...ლაო ბატონო მელაოს“ დონეზე ვაცნობიერებთ მხოლოდ ფოლკლორის ამ ბრწყინვალე ნიმუშს, მაშინ როცა მასში იქნებ დღევანდელი საქართველოს სამი პოლიტიკური რეგიონის (სამი შვილის) ამბავიც კი ნიშანდობლივად ჯდება...

მზია ბეჭაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი წონასწორობა ჯანსაღი საზოგადოების საფუძველია

ნევროზის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის შესახებ

ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ თავისი დაღი დააჩნია საზოგადოების სულიერ მდგომარეობასაც.

ცხოვრება აღსავსეა შფოთითა და გულისწყრომით, იმედის გაცრუებით, კონფლიქტებით, აშკარა თუ უხილავი ფსიქიკური ტრავმებით, რომელთა შედეგად შეიძლება აღმოცენდეს ფსიქიკური აშლილობისათვის დამახასიათებელი სიმპტომები.

სამწუხაროდ ჩვენი მოქალაქეები ჯერ კიდევ არ არიან მზად ფსიქიატრთან თავისუფალი, სირცხვილისა და შიშის გარეშე კონტაქტისათვის. არა და ფსიქიატრებთან და ფსიქოთერაპევტებთან ურთიერთობების შედეგად ხშირად შესაძლებელია სულიერი წონასწორობის შენარჩუნება, პიროვნების შესაძლებლობების გაფართოება, მძიმე ცხოვრების შემსუბუქება.

რომ გადაველახოთ ტრადიციული ბარიერები და არ მოვერიდოთ ფსიქიატრთან ურთიერთობას, შევინარჩუნოთ სულის სიმტკიცე და დროულად ვიპოვოთ გამოსავალი, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური ტკივილების დასაყუჩებლად, აუცილებელია საზოგადოების საერთო კულტურის ამაღლებასთან ერთად, ჯანმრთელობის შესახებ, მათ შორის ფსიქიკურ აშლილობათა საკითხებზე განათლების დონის ამაღლება და ცოდნის გავრცელება.

სანამ უშუალოდ ჩვენი საუბრის თემას შევეხებოდეთ, მკითხველებს უნდა შევახსენოთ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ცუდად ერკვევა ფსიქიკური დარღვევების ბუნებასა და სახეებში, ფსიქიატრის პროფესიას მხოლოდ მძიმე სულით დაავადებებთან აკავშირებს, რაც აბსოლუტურად არასწორია. სწორედ ამ მცდარი შეხედულებიდან წარმოიშვება ის შიში თუ რიდი, რომლის გამოც ადამიანთა ერთი ნაწილი ვერ ბედავს მიმართოს ექიმ-ფსიქიატრს დახმარებისათვის და იტანჯება ისეთი შეგრძნებებისაგან, რომელთა თავიდან აცილება სწორი მკურნალობით შესაძლებელია.

ამ წერილის მიზანს წარმოადგენს ვისაუბროთ ერთ-ერთ ისეთ ფსიქიკურ დარღვევაზე, რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება ადამიანებში და საჭიროებს ფსიქიატრის დროულ დახმარებას. ამ დაავადებას აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზს უწოდებენ. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი,

მისი შინაარსი უფრო ნათელი და გასაგები რომ გახდეს, სამედიცინო პრაქტიკიდან ერთ-ერთ განზოგადებულ მაგალითს მოგითხრობთ:

17 წლის მოსწავლე სულ ერთი წლის წინათ იყო სავსებით ნორმალური, ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მოზარდი.

უცბათ მოხდა ახალგაზდის მკვეთრი გარდაქმნა: იგი გახდა განდეგილი, ყველასაგან განმარტოებული, თავისი ფსიქიკური გადახრების გამო მთლიანად გამოთიშული სოციალური ცხოვრებიდან. საქმე იმაში იყო, რომ იგი გამუდმებით განიცდიდა დაბანის დაუოკებელ სურვილს. ჰქონდა რა ადეკვნებული აზრი იმის შესახებ, რომ იგი თითქოს გაისვარა, ყოველგვარი საღი აზრის გარეშე უფრო და უფრო მეტ დროს ხარჯავდა წარმოსახული ჭუჭყის განბანვაზე.

თავდაპირველად ეს „რიტუალური განბანვა“ სრულდებოდა მხოლოდ საღამოობით და უქმე დღეებში, რაც მას საშუალებას აძლევდა ეელო სკოლაში და დასწრებოდა გაკვეთილებს. მაგრამ მალე დაბანვამ მოიცვა ძალზე დიდი დრო, რის გამოც იგი იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისათვის, რადგან თავს ვერ გრძნობდა საკმარისად სუფთად.

ამ მოზარდის მდგომარეობას ეწოდება აკვიატებულობის ნევროზი.

წინათ ითვლებოდა, რომ ეს სინდრომი იშვიათია, მაგრამ ამჟამად ცნობილი გახდა, რომ ამ მდგომარეობით დაავადებულია მოსახლეობის 2-3 პროცენტი.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის პირველი ნიშნები უფრო ხშირად ბავშვობაში და ახალგაზრდობაში ვლინდება.

დაავადებული ადამიანი, რომელიც მთლიანად მოცულია აკვიატებული აზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მათი აბსურდულობა, ებრძვის მათ, მაგრამ მაინც არ შეუძლია შეწყვიტოს მაგალითად, გაუთავებელი დაბანვა ან კარებებისა და გაჭურის შემოწმება.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი — ფსიქიკის ქრონიკული დარღვევაა, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული მძიმედ ან მსუბუქად.

ზოგიერთი ადამიანი იტანჯება მხოლოდ აკვიატებული აზრებისაგან: ავადმყოფს არა აქვს თავისი თავის რწმენა, თავის ყოველი მოქმედებისას ყოყმანობს, მერყეევა. გონებრივი სამუშაოს შესრულებისას რამდენჯერმე კითხულობს ერთი და იგივეს, უსასრულოდ იმეორებს, ითვლის ერთი და იგივეს, მანამდე ამოწმებს შესრულებულ სამუშაოს, სანამ არაქათი არ გამოეცლება.

აკვიატებული ეჭვები გამოიხატება იმაში, რომ ავადმყოფები დაურწმუნებლები არიან გარკვეული მოქმედებების დამთავრების სისწორეში: ავადმყოფები რამდენჯერმე ამოწმებენ ჩართული ხომ არ დარჩათ გაზი, დაკეტეს თუ არა წყალი, კარები, ამავე დროს ხშირად რეალური და უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები მათი ყურადღების გარეშე რჩება. ამ ნევროზით შეპყრობილები გრძნობენ თავისი ეჭვების, შიშის და ყოყმანის უსაფუძვლობას, ებრძვიან თავის ავადმყოფურ სიმპტომებს, მაგრამ საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ აღწევენ.

ავადმყოფები ხშირად იტანჯებიან არა მარტო აკვიატებული აზრებისაგან, არამედ მოქმედებებისგანაც. ამ მოქმედებებს რიტუალებს უწოდებენ, მათ ადამიანები ასრულებენ, რათა შეამცირონ თავიანთი შიში და შფოთვა, დაიცვან თავისი თავი და ახლობლები მომავალი უბედურებისაგან. მაგალითად, ავადმყოფი გამუდმების ითვლის რაღაც საგნებს (ფანჯრის რაფები, საფეხურები, სკამების ფეხები, აკეთებს გონებაში გამოთვლით ოპერაციებს და სხვა), რათა არ დაავადდეს სიმსივნით ან სხვა საშიში დაავადებით. ამავე დროს ავადმყოფმა იცის, რომ ეს აბსურდულია და ებრძვის თავის თავს.

აკვიატებული ფიქრები შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელ ადამიანებსაც, ხშირად გადაღლის, უძილობის, გადატანილი შიშის შემდეგ.

დაავადების ზოგიერთ შემთხვევაში აკვიატებები ისე იპყრობენ ადამიანს, იმდენ დროს ართმევენ, რომ მათი ჩვეულებრივი ცხოვრება ირღვევა: მათ უჭირთ მუშაობა, ოჯახთან და სოციალურ გარემოსთან შეგუება. საინტერესოა ის, რომ სხვა სხვრივ აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზით დაავადებულნი სავსებით გონიერნი, ნორმალური ადამიანები არიან, მათ ესმით თავიანთი აკვიატებების უსაფუძვლობა, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მათი დათრგუნვა.

აკვიატებული ფიქრებისაგან, მოქმედებებისაგან ადამიანები ძალიან იტანჯებიან. თუ ავადმყოფობის სიმპტომები მკვეთრად არის გამოხატული, ავადმყოფი გამოიყურება უცნაურად. მაგალითად, სამუელ ჯონსონი — მე-18 საუკუნის ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი, მწერალი და ლექსიკოგრაფი, რომელიც იტანჯებოდა სხვადასხვა აკვიატებებით, გამოიყურებოდა ძალიან სასაცილოდ. მისი თანამედროვეების აღწერით იგი კარებში გასვლისას ასრულებდა ახირებულ, უცნაურ რიტუალებს. „ბრუნავდა რა და უცნაურად იგრიხებოდა, იგი ხელებით აკეთებდა რაღაცნაირ განსაკუთრებულ მოძრაობებს, რის შემდეგაც უცბად გადახტებოდა კარებში, ისე შორს, თითქოს ნიძლავი ჰქონდადადებული სიგრძეზე გადახტომაზე“ — აღწერენ თვითმხილველნი.

„რიტუალების“ ხშირი გამეორება ავსებს მთელ დღეს და შეუძლებელს ხდის ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებას.

აკვიატებულ მდგომარეობათა ზოგი სიმპტომი უფრო ხშირად გვხვდება, ზოგი ნაკლებად.

ქვემოთ ჩამოთვლილია აკვიატებულ მდგომარეობათა ის სიმპტომები, რომლებიც ყველაზე ხშირად აღენიშნებოდა იმ 70 ბავშვსა და მოზრდილს, რომლებსაც ჰქონდათ აკვიატებულობის ნევროზი და რომლებზედაც დაკვირვებას აწარმოებდა ამერიკელი მეცნიერი დუუდიტ ლ.რაპპორტი ამ ბოლო პერიოდში:

აკვიატებული აზრები:

— გარემოში ჭუჭყის, მიკრობების, შხამიანი ნივთიერებების არსებობით გამოწვეული შფოთვა — აღენიშნებოდა ავადმყოფთა 40 %-ს

— შიში იმის გამო, რომ მოხდება რაღაც საშინელება (ხანძარი, მინისძვრა, ახლობლის ან საკუთარი თავის დაავადება, ან სიკვდილი — 24 %

— ნუხილი, შფოთვა წესრიგის, სიზუსტის, სიმეტრიულობის დაცვის გამო — 17 %

— პედანტურობა (რელიგიური რიტუალების და სხვა საქმიანობის შესრულების დროს) — 13 %

— განსაკუთრებულად აკვიატებული ზიზღი ფიზიოლოგიური მოქმედების პროდუქტების მიმართ (შარდი, ნერწყვი, განავალი და სხვა) — 80 %

— იღბლიანი და უიღბლო რიცხვებისადმი განსაკუთრებული რწმენა, — 8 %

— აკრძალული, აგრესიული ან გაუკუღმართებული სექსუალური აკვიატებების, ნარმოსახვების, აზრების ან სურვილების არსებობა — 4 %

— შიში მიაყენოს ზიანი საკუთარ თავს ან სხვებს — 4 %

— საოჯახო მეურნეობაზე და წესრიგზე გადაჭარბებული ზრუნვა — 3 %

— აკვიატებული უაზრო ბგერები, სიტყვები ან მუსიკა — 1 %

აკვიატებული მოქმედებები:

— გადაჭარბებული ან რიტუალიზებული ხელების დაბანა, ბანაობა შხაპის ქვეშ ან აბაზანაში, კბილების წმენდა, საკუთარი სხეულის დათვალიერება — 85 %

— განმეორებადი რიტუალები (კარებში გასვლისას, ადგომისას ან დაჯდომისას) — 51 %

— შემოწმება (კარების, საკეტების, ქურის, ელექტრომოწყობილობების, ავტომობილის მუხრუჭების, რუკაზე მარშრუტების, სასწავლო-საშინაო დავალების) — 46 %

— რიტუალური ქმედებები ჭუჭყიან ნივთებთან შეხების თავიდან აცილების მიზნით — 23 %

— ხელით მოსინჯვა (გასინჯვა, თითებით შეხება) — 20 %

— ქმედებები საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი ზიანის თავიდან აცილების მიზნით — 16 %

— წესრიგის დაცვა ან დამყარება — 17 %

— დათვლა — 18 %

— რიტუალური კოლექციონირება ან დაგროვება — 11 %

— რიტუალური ნმენდა, საოჯახო ყოველდღიური ხმარების საგნების ან სხვა უსულო საგნების რეცხვა — 6 %

— სხვა რიტუალური ქმედებები (მაგალითად ისეთები, რომლებიც დაკავშირებული არიან წერასთან, მოძრაობასთან, საუბართან) — 26 %

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზისაგან ცალკე გამოყოფენ აკვიატებულ შიშებს (ფობიებს). ფობიებით დაავადებულია მოსახლეობის 8—9 %

იმის გამო, რომ ამ დროს დომინირებს შიშის გრძნობა, აკვიატებული შიშები მეტად მრავალფეროვანია და გვხვდება ძალიან ხშირად, მათ მიეკუთვნება:

— თანატოფობია — სიკვდილის შიში;

— კარდიოფობია — გულის დაავადებების შიში;

— აგორაფობია — ღია სივრცეების, მოედნების, ხალხმრავალი ადგილების შიში;

— კლაუსტროფობია — დახურული სივრცეების შიში, როდესაც ავადმყოფს ეშინია ლიფტით, მეტროთი მგზავრობა;

— გიპროფობია — სიმაღლის აკვიატებული შიში;

— ერეიტოფობია — ხალხში განითლების აკვიატებული შიში;

— კანცეროფობია — სიმსივნით დაავადების აკვიატებული შიში;

— სოციოფობია — ირაციონალური შიში ისეთი სიტუაციების მიმართ, სადაც ავადმყოფს უხდება სხვადასხვა მოქმედების შესრულება სხვების თანდასწრებით. მაგალითად, შიში, ხალხში არ განითლდეს, მუცელმა არ დაუწყოს ყურყური, შიში როგორ გაივლის, როგორ გადაყლაპავს საჭმელს სხვების თანდასწრებით, შიში არ გაოფლიანდეს, შიში აუდიტორიის წინაშე გამოსვლისა.

— სხვადასხვა ავადმყოფობებით დაავადების შიში — მაგალითად, ვენერიული დაავადების აკვიატებული შიში. ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ დაავადებულია ვენერიული დაავადებით ან შიდსით, დადის სხვადასხვა ექიმებთან დიაგნოზის დასაზუსტებლად. მრავალჯერ უარყოფითი პასუზის მიღების შემთხვევაშიც კი ვერ წყნარდება, ვერ იჯერებს, რომ დაავადება არა აქვს.

ამერიკულ სამედიცინო ლექსიკონში ამ ფობიების რაოდენობამ მიაღწია უკვე 367-ს.

როდესაც ადამიანები დაავადებული არიან ფობიებით, მოხვდებიან რა მათთვის არასასურველ ადგილას (მეტროში, ლიფტში, ხალხში) ისინი განიცდიან შიშს, შფოთვას, ზოგჯერ პაერის უკმარისობას, გონების დაბნელებას, უჩქარდებათ გულისცემა, ყოველივე ასეთი განცდები აიძულებს მათ თავი აარიდონ ასეთ რიტუალებს, შემოფარგლონ თავიანთი შესაძლებლობები. ეს იწვევს მათში უსუსურობის განცდას და აქვეითებს გუნებ-განწყობილებას.

„საშიში“ სიტუაციის გარეთ ავადმყოფები გრძნობენ შიშის აბსურდულობას, უსაფუძვლობას, ავადმყოფი ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს შიშის გრძნობას, ცდილობს იპოვოს სხვადასხვა გზები მათთან საბრძოლველად, შიშის დასაძლევად, შესასუსტებლად. მაგალითად, ავტობუსში ავადმყოფი ცდილობს დაჯდეს მძღოლთან ახლოს ან გასასვლელთან, მეტროში ჯდება პირველ ვაგონში, კარებთან და ფანჯარასთან ახლოს და ა.შ.

ავადმყოფი თავის ქმედებას განიხილავს როგორც სისუსტეს, უნებისყოფობას, უცნაურობას. ის ბრაზდება თავის თავზე საკუთარი უსუსურობის, უძლურების გამო.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზით და ფობიებით დაავადებული ადამიანები ხშირად განიცდიან სირცხვილის გრძნობას, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ესმით თავიანთი „რიტუალების“ და შიშების უაზრობა, უსაფუძვლობა. ხშირად ისინი დიდი ხნის განმავლობაში მალავენ თავიანთ განცდებს, ცდილობენ დაფარონ თავიანთი მდგომარეობა. „რიტუალებს“ ახორციელებენ მაშინ, როცა რჩებიან მარტო, ცდილობენ თავი აარიდონ ისეთ სიტუაციებს, სადაც ირგვლივმყოფებს შეუძლიათ მათი ავადმყოფობის შემჩნევა.

როგორც წესი, ავადმყოფობის სიმპტომები იფარება წლების განმავლობაში და ავადმყოფი მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს დახმარებისათვის, როცა მას უკვე აღარ შეუძლია თავისი მდგომარეობის ატანა და დაფარვა, რადგან ძალიან იტანჯება ან მათ გამო იძულებულია თავი დაანებოს სამსახურს, სკოლას, უჭირს საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულება.

ავადმყოფობის გაუმჟღავნებლობის გამო ადრე ითვლებოდა, რომ აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი და ფობიები იშვიათი დაავადებაა, მაგრამ ამჟამად გამოირკვა, რომ ამ დაავადებით იტანჯება მილიონობით ადამიანი (მაგალითად, ა.შ.შ.-ში დაახლოებით 4-6 მილიონი ადამიანი ან მეტი).

პრობლემის მთელი სერიოზულობა შეიძლება გავიგოთ თუ გავითვალისწინებთ როგორ ტანჯვა-წვალებას განიცდის უამრავი ადამიანი.

იმათთვისაც კი, ვინც ახერხებს, რომ სკოლაში ან სამსახურში „ჰქონდეს ყველაფერი წესრიგში“, ნევროზი შეიძლება გახდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მარტოობის და უსიამოვნების მიზეზი. ასეთი ავადმყოფები უფრო ხშირად განქორწინდებიან და ძნელად ქონწინდებიან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ არ სურთ თავისი სისუსტის (მდგომარეობის) გამომჟღავნება.

ნევროზის მკურნალობა რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი უნდა იყოს კომპლექსური — ფსიქოთერაპიის, ფარმაკოთერაპიის, საერთო გამამაგრებელი თერაპიის გამოყენებით. თითოეული მეთოდის ხვედრითი წილი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ წარმატების მისაღწევად გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ხერხი ერთად.

დაუშვებელია, რომ პაციენტმა მიმართოს თვითმკურნალობას ან მკურნალობას არაპროფესიონალებთან (ე.წ. შემლოცველები, ექსტრასენსები, მაგიები). სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი შემთხვევაში არც თუ ისე იშვიათია, რაც მოსახლეობის სამედიცინო (მათ შორის ფსიქიატრიულ) საკითხებში გაუთვითცნობიერებლობის შედეგია.

მანანა შარაშიძე
ფსიქიატრი

კაცი სამი წელია ციხეში ზის, განაჩენი კი ჯერაც გამოსატანია!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ მინდია უგრეხელიძეს

მესამე გვერდიდან

არ აძლევენ საქმის გაცნობის საშუალებას, იგი წერს განცხადებას, ითხოვს საქმის გაცნობას, მას კი წერილობით პასუხობს ჯერ გამომძიებელი, შემდგომ პროკურორი, რომ იგი იცნობს საქმის მასალებს და მას არ გადაეცემა საქმე გასაცნობად, და, ასეთ ფაქტს უზენაესი სასამართლო სტოვებს ყოველგვარი რეაგირების გარეშე, ხოლო განაჩენს უცვლელად.

უფრო მეტიც, ადვოკატის მისვლამდე ბრალდებულთან თბილისის №1 იზოლატორში მიდიან სამძებროს მუშაკები, რომლებიც სხვადასხვა ზემოქმედებით „ურჩევენ" მას, რომ მასთან ერთ საათში მივა ადვოკატი, რომელზეც უარი უნდა თქვას. ეს საკითხი მეღავნდება, დგინდება, რომ ბრალდებულს გამომძიებლის და ადვოკატის გარეშე შეხვდნენ სამძებროს მუშაკები, ცნობილი ხდება უზენაესი სასამართლოსათვის, მაგრამ როგორც საკასაციო კოლეგია, ასევე თქვენი მოადგილე ბატონი ლილუაშვილი ადვოკატს თვალებში ნაცარს აყრიან და შავით თეთრზე სწერენ: „პოლიციის თანამშრომლები საგამომძიებლო იზოლატორში იმყოფებოდნენ ოპერატიული მიზნით: (იხ. უზენაესი სასამართლოს ს.ს. საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1994 წ. 19 ივლისის №111 განჩინება)...

არ ვიცი თქვენი უწყება რას გულისხმობს ოპერატიულ მიზნებში, როცა ბრალდებულს გამომძიებლის და ადვოკატის გარეშე ხვდებიან პოლიციის მუშაკები, არ სდგება არავითარი დოკუმენტები, ასეთ საგამომძიებლო მოქმედებას არ იცნობს კანონი.

საერთოდ, ოპერატიული მიზნები ეწოდება იმ საქმიანობას, რაც პროცესუალურად აღიარებული არ არის, ამიტომ გამაკვირვა ასეთმა მშვიდმა ტონმა თქვენი უწყების მხრიდან, თორემ ჩვენთვის, ადვოკატებისთვის დიდი ხანია ცნობილია, თუ საგამომძიებლო პრაქტიკაში ამ „ოპერატიული მიზნების", მიღწევაც რა გზებით ხდება: ბრალდებულის ცემა, შანტაჟი, მუქარა, პროვოცირება, აგენტად გამოყენება და სხვა...

და ბოლოს კიდევ ერთ ფაქტზე მივაქცევ თქვენს ყურადღებას: ქ. თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორში, გუბერსკის ციხეს რომ ეძახიან, სამი წელი და ექვსი თვეა სასჯელს იხდის შაქრიანი დიაბეტით მძიმედ დაავადებული პატიმარი ვინმე დუხოვიჩი, 28 წლის, რომლის მიმართ არ არსებობს სასამართლოს განაჩენი. და ეს ხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ თანხმდება მართლმსაჯულების ოფიციალურ პირებს, მისცეს მათთვის სასურველი ჩვენება.

ბატონო მინდია, მაგალითების მოყვანა მრავლად შემეძლო. ჩემი მიზანია ვამხილო არა მხოლოდ ცივ საკნებში უკვე კარგად განვითარებული მანკიერი პრაქტიკა, არამედ სწორედ სასამართლო სამართალწარმოება, რომელიც უკანასკნელ ხანს კმაყოფილდება მხოლოდ ცივილიზებული სამართალწარმოების ნიღბით.

ვითვალისწინებ რა თქვენს შეტად მნიშვნელოვან პრაქტიკულ და საკანონმდებლო სტატუსს, გთხოვთ კვალიფიციურ რეაგირებას და განზოგადებას. თუ უმოკლეს ხანში კანონმდებლობა ღრმად და საფუძვლიანად არ შეიხედავს იმ სამზარეულოში, მოკვლევა და გამოძიება რომ ჰქვია, ამაო იქნება ევროპული ცივილიზაციისაკენ მზერა, ხოლო ჩვენს სასამართლო წარმოებაში დემოკრატიული ელემენტების შეტანა და მისი პროგრესისაკენ წარმართვა, შორეული მომავლის საზრუნავი გახდება.

პატივისცემით

თენგიზ გეჟაშვილი

ადვოკატი

ქ. სიღნაღი

კროსვორდი



თარაზულად: 5. წინასწარი სამზადისი 6. პოლიტიკური დაპირისპირება 7. ცეცხლგამძლე ჭურჭელი 8. სიმებიანი საკრავი 11. თხელი ფირფიტა, სადაც ამოჭრილია სახე ან ასო, იყენებენ რაიმე ზედაპირის მოსახატავად 13. ფენა, შრე 14. დიდი უნგრელი კომპოზიტორი 16. ოთხსტრიქონიანი ლექსი სპარსულ ლიტერატურაში 17. ლითონზე შესრულებული გრავიურა 18. ჩქარი ტემპი მუსიკაში 22. სისხლნაკლებობა 23. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 24. სართული თეატრში 25. შუალედი 28. რაიმე ნაწარმოების, გამოგონების შემქმნელი 29. ზღვის ნაპირზე აღმართული შუქნიშანი 30. შაჰ-ნამეს ავტორი 31. ნაბეჭდი თაბახის ერთი მეოთხედი.

შვეულად: 1. ეგეოსისა და მარმარილოს ზღვის შემაერთებელი სრუტე 2. ძვ. აღთქმა 3. გამოჩენილი მოღვაწე მეცნიერებასა ან ხელოვნებაში 4. ენის სტატიკური მდგომარეობა 7. გარდაქმნა, სახეცვლილება 9. საკუთარი ცხოვრების აღწერა 10. ცეკვა 11. ნაქსოვის სახეობა 12. იდეოგრაფიული დამწერლობის ნიშანი 14. სითხის საზომი ერთეული 15. კურორტი ყირიმში 19. რჩეულ თხზულებათა კრებული 20. წარწერა კინოფირზე 21. თანაშემწე, დამხმარე 26. გამის მესამე საფეხური 27. გადაკრული სიტყვა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პანორამა 5. ბუკოლიკა 8. იფანი 9. მელპომენა 10. ქიმია 11. ლაოიზმი 13. რუსტიკა 15. ფინალი 16. ვაგნერი 17. მოტივი 18. ანდერძი 21. კურსივი 23. მარიამი 25. რედაქტირება 28. ალადინი 30. იაშვილი 31. ინექცია 33. ტუნდრა 34. ლომოური 35. პენსნე 38. ოპერეტა 40. ესენცია 42. ცენტი 43. ორნამენტი 44. კანიო 45. საროიანი 46. იფიგენია.

შვეულად: 2. არისტოფანე 3. აკიდო 4. არმაზი 5. ბრამსი 7. კლასიციზმი 11. დანტე 12. წინასიტყვაობა 14. ალიზი 19. რაგბი 20. იარდი 21. კადრი 22. ირემი 23. მუარი 26. ალიტერაცია 27. ლიტერატორი 29. დინგო 32. ქასრა 36. ლეკოვი 39. ეგიდა 41. ციკლი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა გაიმართება 8—9 ივლისს, გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში. რეგისტრაცია დაიწყება დილის 9 საათიდან.

1 ივლისს, 12 საათზე, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისში ჩატარდება გრპ-ის დარბაზის ღია სხდომა.

რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

გრპ-ის პრეს-ცენტრი

ხსოვნის ნათელი



ქართველ ხალხს ამ ქვეყნისთვის წუთისოფელი შეურქმევია; ალბათ იმიტომ, რომ კაცი თავისი სიცოცხლის ბოლომდე ვერ ახერხებს მთელი თავისი შესაძლებლობებისა და მიზნების ბოლომდე განხორციელებას.

სოკრატეს უთქვამს: ყველა ადამიანშია მზე, მხოლოდ მიეცი მას საშუალება ინათოსო: დედამიწაზე ნებისმიერი ადამიანის არსებობა, რაღაცით არის განპირობებული, ნებისმიერ ადამიანს აქვს რაღაც დანიშნულება, მაგრამ ერთთიორად უფრო ძნელია, როდესაც ამ წუთისოფელს უდროოდ ტოვებს ადამიანი, რომელმაც მთლიანად გაანათა თავის თავში ის მზე, რომელიც სოკრატეს ჰქონდა მხედველობაში.

არა გვგონია გაზვიადებული იყოს ასეთი შესავალი იმ კაცის გახსენების დროს, რომელიც მართლაც და მზეს აფრქვევდა თავის გარშემო. ამაზე დამეთანხმება ყველა, ვინც კი პირადად იცნობდა ჰამლეტ ზაქარეიშვილს და რომელთა ხსოვნაშიც დარჩა იგი: კეთილი, განათლებული, კარგი შვილი, კარგი ძმა, შესანიშნავი მეუღლე, მზრუნველი მამა, მეგობრების სული და გული.

ჰამლეტი იყო მშენებელი-ინჟინერი და მან ხალხისთვის საჭირო საქმეში გააკეთა, ალბათ ეს მისი პირადი თვისებებიდან გამომდინარეობდა, გაეკეთებინა ის, რაც საშვილიშვილოდ დარჩებოდა. მისი დიდი დამსახურებაა ფსიქიატრიული საავადმყოფოს დამატებითი კორპუსის, სადგურ „დელისთან" მდებარე კონცერნ „საქსოფლმშენის" შენობისა და სხვა ისეთი ნაგებობების არსებობა, რომლებიც ჩვენს ქალაქს აშშვენებენ. იგი იყო თავისი საქმის პროფესიონალი, ამ სიტყვის სრული გაგებით.

რა თქმა უნდა, დიდი ნიჭი ვერ გამომჟღავნდება, უზარმაზარი შრომისა და წიგნის სიყვარულის გარეშე, იგი იყო წიგნის დიდი მოყვარული, მას სპეციალური ლიტერატურის გარდა აინტერესებდა ისტორიული ლიტერატურა, განსაკუთრებით საქართველოს ისტორია — დიდი მოწიწებით ეპყრობოდა რომელმე ავტორის მიერ ნაჩუქარ წიგნს, განსაკუთრებით ამაყობდა აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის ავტოგრაფიანი წიგნით. ბატონი ავლიპი ამ სასაჩუქრო წარწერაში ჰამლეტ ზაქარეიშვილს თავის მესამე შვილად მოიხსენიებს.

ჰამლეტს ყველა უყვარდა, როგორც თავისი ახლობლები და მეგობრები, ისე მთელი საქართველო. და მისმა გულმა ვერ გაუძლო სამშობლოს თავზე დატრიალებული უბედურების ცქერას.

წავიდა ამ წუთისოფლიდან ჰეშმარიტი მოქალაქე, დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა და მაგალითი იმისა თუ როგორ უნდა ვემსახუროთ საზოგადოებას, ქვეყანას, დაკისრებულ მოვალეობას და კეთილშობილური ცხოვრების მაგალითზე აღიზარდოს ჩვენი მომავალი თაობა.

ამხანაგების ჯგუფი

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), **მიხეილ მახარაძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1200 რუბლი. შ. კ. კუპონებში

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,

რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99, 93-18-41